


უღრამე მარჯვენა

რიტორიკა და ტენდენციები
სოციალურ ქსელებში და
ონლაინ მედიაში



2021 /
2022



დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი



Kingdom of the Netherlands



ანგარიში მოამზადა დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა (DRI) პროექტის „ულტრამემარჯვენე ექსტრემიზმის პრევენცია საქართველოში“ ფარგლებში.

პროექტი მხარდაჭერილია საქართველოში ნიდერლანდების სამეფოს საელჩოს მიერ. პუბლიკაციაში ასახული პოზიციები და შეხედულებები ეკუთვნის პროექტის გუნდს და არ უნდა იქნეს აღქმული დონორის ოფიციალურ მოსაზრებად.

სარჩევი

შესავალი.....	3
მეთოდოლოგიური ჩარჩო	5
1. ულტრამემარჯვენე ჯგუფების ონლაინ დისკურსის დროში ცვალებადობა.....	7
1.1. თვითმმართველობის არჩევნები და ულტრამემარჯვენე ჯგუფების პოლიტიკური ტრანსფორმაცია.....	8
1.2. ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტივაქსერული კამპანია	10
1.3. რუსეთ-უკრაინის ომი ულტრამემარჯვენე ჯგუფების ფოკუსში	11
2. ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიდასავლური რიტორიკა და მისი დროში ტრანსფორმაცია.....	12
2.1. „ქართული ოცნების“ და ულტრამემარჯვენე ჯგუფების იდენტური ანტიდასავლური გზავნილები	15
3. კამპანია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინააღმდეგ	22
4. ულტრამემარჯვენე ჯგუფების პრორუსული დისკურსი რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე	25
5. ულტრამემარჯვენე პოლიტიკური სუბიექტების ოფიციალური ვიზიტები რუსეთში	31
ძირითადი მიგნებები	32

შესავალი

საქართველოში ულტრამემარჯვენე ძალები მცდარი საზოგადოებრივი განწყობების შექმნის, საზოგადოებაში ირაციონალური შიშების გაღვივებისა და მხარდამჭერთა მობილიზაციის მიზნით, ტრადიციულად, სოციალურ ქსელებს და ონლაინ მედია პლატფორმებს იყენებენ. ულტრამემარჯვენე ძალების სამოქმედო დღის წესრიგის, რიტორიკისა და ძირითადი ნარატივების ანალიზის მიზნით, წინამდებარე ანგარიშში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი ერთი წლის განმავლობაში - 2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის აგვისტოს ჩათვლით განხორციელებული მონიტორინგის შედეგებს აჯამებს. საანგარიშო პერიოდში დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტმა სოციალურ ქსელებში და ონლაინ მედიაში გავრცელებული პროპაგანდისტული შინაარსის 2 163 შემთხვევა გააანალიზა.

დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ საქართველოში ულტრამემარჯვენე დისკურსი დროში ტრანსფორმაციით ხასიათდება და ულტრამემარჯვენეების რიტორიკაც კონკრეტული პოლიტიკური თუ სოციალური მოვლენების მიხედვით იცვლება. მაგალითად, თუ საანგარიშო პერიოდის საწყის ეტაპზე აქტუალური იყო თვითმმართველობის არჩევნები, მასთან დაკავშირებული ანტიდასავლური გზავნილები და „ნაციონალური მოძრაობის“ დისკრედიტაციის მცდელობები, 2021 წლის ნოემბერ-დეკემბერში, პანდემიის ფონზე შემოღებული რეგულაციების პარალელურად, გააქტიურდა ვაქცინაციის საწინააღმდეგო (ე.წ. ანტივაქსერული) განწყობები. 2022 წლის თებერვლიდან, რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, ანტიდასავლურმა და მეტიც, მკვეთრად პრორუსულმა რიტორიკამ ახალი სიცოცხლე შეიძინა.

2022 წლის 24 თებერვალს რუსეთის მიერ უკრაინის წინააღმდეგ სრულმასშტაბიანი ომის დაწყების პარალელურად, ულტრამემარჯვენე ღიად პრორუსულმა პოლიტიკურმა მოთამაშეებმა ასევე სრულმასშტაბიანი საინფორმაციო ომი გააჩაღეს, რომლის სამიზნე აუდიტორიაც ქართული საზოგადოება იყო. თემის აქტუალობიდან გამომდინარე, ანგარიშში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა საქართველოში მოქმედი ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების და მათი ლიდერების პროპაგანდისტულ შეფასებებს უკრაინაში მიმდინარე ომის შესახებ, რაც სოციალური ქსელების და კრემლის პოლიტიკასთან ღიად დაკავშირებული მედია საშუალებებით ვრცელდებოდა. საქართველოში მიმდინარე საინფორმაციო ომი ხასიათდებოდა ომის საფრთხეზე მუდმივი ხაზგასმით და ამ გზით საზოგადოებაში ირაციონალური შიშების გაღვივებით, ევროსკეპტიციზმით და ღიად პროკრემლისტური პროპაგანდის ფონზე კოლექტიური „დასავლეთის“ დისკრედიტაციით.

საანგარიშო პერიოდში ერთგვარ ტენდენციად გამოიკვეთა, რომ „ქართული ოცნებისა“ და ულტრამემარჯვენე დაჯგუფების ლიდერებს იდენტური გზავნილები აქვთ ისეთი საკითხების გარშემო, როგორიცაა - ომის საფრთხე და ევროსკეპტიციზმი, რაც ძირითადად ოპოზიციური ძალების დისკრედიტაციაში და დასავლეთისა და დასავლური ღირებულებების ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენაში გამოიხატება. აღნიშნული ტენდენცია განსაკუთრებით შესამჩნევი გახდა რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე.

სოციალური ქსელების და ონლაინ მონიტორინგის შედეგად, ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების ონლაინ დისკურსში სამი ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა, რომელთა გარშემოც ინტერაქცია ყველაზე მაღალი იყო:

- 1 ანტიდასავლური რიტორიკა** - მჭიდროდ იყო დაკავშირებული დეზინფორმაციასთან, თითქოსდა დასავლეთი მხარს უჭერს საქართველოში ომის მეორე ფრონტის გახსნას. აღნიშნულ დეზინფორმაციულ გზავნილს აქტიურად ავრცელებდნენ ხელისუფლების წარმომადგენლებიც და მათთან ღიად დაკავშირებული პირებიც. ანტიდასავლურმა რიტორიკამ დამატებითი მნიშვნელობა საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭების მოლოდინთან ერთად შეიძინა.
- 2 ჩრდილო-ატლანტიკური ხელშეკრულების ორგანიზაციის (ნატოს) წინააღმდეგ მიმართული კამპანია**, რაც სამხედრო ნეიტრალიტეტზე აპელირებით, პოლიტიკურ დღის წესრიგში საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილების აუცილებლობის დაყენებაში გამოიხატა.
- 3 პროკრემლისტური რიტორიკა**, რომელიც რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ღიად ღიად ლობირებდა რუსეთთან პირდაპირი დიალოგისა და პარტნიორული ურთიერთობების ჩამოყალიბების იდეას.

დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტის დაკვირვებით, კოლექტიური დასავლეთისა და ნატოს წინააღმდეგ მიმართული მედია კამპანია მიზნად ისახავდა საზოგადოებრივი აზრის შემზადებას ქვეყნის საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებისადმი, რაც კრემლისტური მედია საშუალებების მიზნებთან მოდიოდა თანხვედრაში. თვალშისაცემია უკრაინის ხელისუფლების დისკრედიტაციის ტენდენციაც - ულტრამემარჯვენე ლიდერები ცდილობდნენ დაემკვიდრებინათ აზრი, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დაწყება უკრაინის პროვოცირებული იყო, „დასავლური“ ძალების წაქეზებით. ამის გამო, ომის დინამიკის შეფასებისას ძირითადი აქცენტები კრემლის აგრესიული სამხედრო ინტერვენციის ნორმალიზაციასა და მისთვის მორალური სახის შენარჩუნებაზე კეთდებოდა. ულტრამემარჯვენე ლიდერები უარყოფდნენ რუსეთის მიერ მშვიდობიანი მოსახლეობის მიზანში ამოღების ფაქტებს და ომის შედეგებზე სრულ მორალურ პასუხისმგებლობას უკრაინის ხელისუფლებას აკისრებდნენ.

მეთოდოლოგიური ჩარჩო

ანგარიში ეფუძნება შინაარსობრივი ანალიზის მეთოდს და მასში ასახულია 2021 წლის სექტემბრიდან 2022 წლის აგვისტოს ჩათვლით ულტრამემარჯვენე პოლიტიკური სუბიექტებისა და მედია პლატფორმების აქტივობები, მანიპულაციური მედია კონტენტები, ტენდენციები და დისკურსი სოციალურ ქსელებში და ონლაინ მედიაში.

მონიტორინგის შედეგად გაანალიზდა ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტიებისა და ლიდერების ძირითადი პოლიტიკური ნარატივები. კერძოდ, ანგარიშში აღწერილია პოლიტიკური პარტიების: „ეროვნული მოძრაობა - ქართული მარში“, „ქართული იდეის“, „კონსერვატიული მოძრაობის“ და „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ოფიციალურ და მხარდამჭერთა გვერდებზე გააქტიურებული დეზინფორმაციული, მადისკრედიტირებელი და სიძულვილის ენის შემცველი გზავნილები.

მონიტორინგის ფარგლებში აგრეთვე დავაკვირდით ულტრამემარჯვენე განწყობებით გამორჩეულ მოძრაობებს და ორგანიზაციებს: „ერი და სახელმწიფო“, „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“, „ზნეობა“ და „ერთობა, რაობა, იმედი“.


საკვლევ ობიექტებად განისაზღვრა აგრეთვე ღიად პროკრემლისტური და ანტიდასავლური განწყობების მქონე მედია პლატფორმები: „საქართველო და მსოფლიო“, „საქინფორმი“, „news front“ და „ალტ-ინფო“.

ულტრამემარჯვენე რიტორიკის სიღრმისეულად შესწავლის მიზნით, დემოკრატიის კვლევის ინსტიტუტი აკვირდებოდა ულტრამემარჯვენე განწყობებით ცნობილი პირების: ირმა ინაშვილის და დავით-თარხან მოურავის („საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“), ლევან ჩაჩუას („ქართული იდეა“), ზურა მახარაძის, კონსტანტინე მორგოშიას, ირაკლი და შოთა მარტინენკოების, გიორგი ქარდავას („კონსერვატიული მოძრაობა“), სანდრო ბრეგაძის („ქართული მარში“), ზვიად ტომარაძის („ერი და სახელმწიფო“), გურამ და ალექსანდრე ფალავანდიშვილების („ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოება“) და დავით ლორთქიფანიძის („პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოების ცენტრი“) პირად ფეისბუქ გვერდებს.


გარდა ამისა, მონიტორინგის ფარგლებში გავაანალიზეთ ის ონლაინ სივრცე და მედია კონტენტი, სადაც ყველაზე აქტიურად მიმდინარეობს ულტრამემარჯვენე ძალების სამოქმედო დღის წესრიგისა და პოსტულატების ჩამოყალიბება-გავრცელება. მანიპულაციური და პოპულისტური ნარატივების გავრცელების სიხშირე და არეალი ხარისხობრივად ფეისბუქის ანალიტიკური ხელსაწყო CrowdTangle-ს გამოყენებით შევისწავლეთ.

მონიტორინგის ფარგლებში საინფორმაციო მასალის რაოდენობრივი და თვისებრივი ანალიზის შედეგად გამოიკვეთა, რომ პოსტების 73%-ს შეადგენდა ტექსტური მასალა (სტატუსი, სტატია), 11%-ს ვიდეო კონტენტი (ლაივ ჩართვების ჩათვლით) და 16%-ს ფოტო მასალა. შესწავლილი პოსტების ჯამურმა ინტერაქციამ გამოავლინა, რომ ყველაზე მაღალი ინტენსივობით ომის საფრთხეებზე ხაზგასმით ანტიდასავლური განწყობების გაღვივებისკენ მიმართული გზავნილები გამოირჩეოდა.

პოსტების ტიპები



ონლაინ ინტერაქცია



1. ულტრამემარჯვენე ჯგუფების ონლაინ დისკუსიის დროში ცვალებადობა

საანგარიშო პერიოდში ულტრამემარჯვენე ჯგუფების რიტორიკა სამ ძირითად მოვლენაზე იყო კონცენტრირებული: 1) 2021 წლის თვითმართველობის არჩევნები; 2) პანდემია და ვაქცინაციის საწინააღმდეგო კამპანია; 3) რუსეთ-უკრაინის ომი პრორუსულ პრიზმაში. ონლაინ დისკუსიის დროში ცვალებადობის მიუხედავად, აქტუალობა არ დაუკარგავს ანტიდასავლურ კამპანიას, რომელიც შინაარსობრივ ტრანსფორმაციას განიცდიდა პოლიტიკური და სოციალური მოვლენების შესაბამისად.

ულტრამემარჯვენე ჯგუფებს საქართველოში ერთიანი დღის წესრიგი არ აქვთ, თუმცა ამის მიუხედავად მათ ერთმანეთთან ულტრანაციონალისტური განწყობები აერთიანებს, რომელიც კოლექტიური დასავლეთის პლურალიზმისა და სტრუქტურული მრავალფეროვნების წინააღმდეგ არის მიმართული.

საანგარიშო პერიოდში გამოიკვეთა, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფები ქვეყანაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენაზე რეაგირებენ და შესაბამისად ცვლიან საკუთარ დღის წესრიგს. მათი ფორმალური თუ არაფორმალური საქმიანობა საზოგადოებაში ირაციონალური შიშების გაღვივებისკენ არის მიმართული. მცდარი საზოგადოებრივი განწყობების ჩამოსაყალიბებლად ეს ჯგუფები აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს და ონლაინ მედია პლატფორმებს. გარდა ამისა, შესამჩნევია ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლეგიტიმაციის ზრდის ტენდენციაც, რომელიც პირდაპირ ბმაშია საჯარო სივრცის ხელმისაწვდომობასა თუ მედია გაშუქების სიხშირესთან.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისში, ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლიდერთა ყურადღების ცენტრში 2021 წლის თვითმართველობის არჩევნები აღმოჩნდა, რომლის ფონზეც შესამჩნევია იყო ულტრამემარჯვენე ჯგუფების პოლიტიკური ტრანსფორმაციები. მნიშვნელოვან ტენდენციად გამოიკვეთა, ერთი მხრივ, ულტრამემარჯვენე ძალების რეორგანიზაციის, ხოლო მეორე მხრივ, კონსოლიდაციის საკითხი.

2021 წლის ოქტომბრიდან მოყოლებული დეკემბრის ჩათვლით, ულტრამემარჯვენე რიტორიკაში პოლიტიკური ნარატივები ვაქცინაციის საწინააღმდეგო განწყობებმა ჩაანაცვლა. პანდემიის ფონზე, ულტრამემარჯვენე ლიდერები და აქტივისტები [ზვიად ტომარაძე](#) (საზოგადოებრივი მოძრაობა „ერი და სახელმწიფო“), [ლევან ჩაჩუა](#) (პოლიტიკური პარტია „ქართული იდეა“) და [ბექა ვარდოსანიძე](#) (მედია ბლოგერი) აქტიურად იყენებდნენ სხვადასხვა მედია პლატფორმებს ანტივაქსერული დეზინფორმაციის გასავრცელებლად და საპროტესტო აქციების ორგანიზებისთვის.

2022 წლის 24 თებერვალს უკრაინაში რუსეთის შეჭრამ სრულიად შეცვალა ულტრამემარჯვენე ჯგუფების დღის წესრიგი და მათი პროპაგანდისტული კამპანიის მთავარი სამიზნე უკრაინა და კოლექტიური დასავლეთი აღმოჩნდა. რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე განსაკუთრებულად გაძლიერდა ანტიდასავლური კამპანია და პრორუსული რიტორიკა. ხშირ შემთხვევაში ულტრამემარჯვენე ჯგუფების ონლაინ ნარატივი პირდაპირ თანხვედრაში იყო კრემლისტური მედია საშუალებების გზავნილებთან.

ულტრამემარჯვენე დისკურსში რუსეთ-უკრაინის ომი სხვადასხვა მიმართულებით გაიშალა. როგორც ზემოთაც აღვნიშნეთ, მათი ძირითადი გზავნილების დროში ცვალებადობის საკითხი ანგარიშში სამი მიმართულებით არის განხილული და გაშლილი; ესენია: ანტიდასავლური რიტორიკა, პრორუსული დისკურსი და ნატოს საწინააღმდეგო კამპანია. ასეთი სტრუქტურა ომის შესახებ ულტრამემარჯვენე რიტორიკის საფუძვლიანი ანალიზისა და ნარატივების დროში ტრანსფორმაციის ქრონოლოგიური სიზუსტით გადმოცემის საშუალებას გვაძლევს.

1.1. თვითმმართველობის არჩევნები და ულტრამემარჯვენე ჯგუფების პოლიტიკური ტრანსფორმაცია

საანგარიშო პერიოდის საწყის ეტაპზე ულტრამემარჯვენე ლიდერების ყურადღების ცენტრში თვითმმართველობის არჩევნები აღმოჩნდა. თვალშისაცემი იყო, ერთი მხრივ, მათი პოლიტიკური ტრანსფორმაცია, ხოლო მეორე მხრივ, მათ მიერ ხელისუფლების ირიბი მხარდაჭერა.

ულტრამემარჯვენე ლიდერები არჩევნების ფონზე ძირითად აქცენტს რეორგანიზაციასა და ძალების გაერთიანების აუცილებლობაზე აკეთებდნენ. 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების ფონზე, პოლიტიკური პარტიის „ქართული იდეის“ ლიდერმა ლევან ჩაჩუამ და „პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოების ცენტრის“ (შემდგომში „პრიმაკოვის ფონდი“) ხელმძღვანელმა დიმიტრი ლორთქიფანიძემ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ეროვნულ-კონსერვატიული ძალების ერთიანი ფლანგის შექმნის აუცილებლობას გაუსვეს ხაზი. კიდევ ერთმა ულტრამემარჯვენე ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ „ქართული მარშის“ სრული რეორგანიზაციის გეგმების შესახებ განაცხადა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის.

საერთო ჯამში, ულტრამემარჯვენე ჯგუფები და მათი ლიდერები 2021 წლის საარჩევნო პროცესს და არჩევნების შედეგებს უარყოფით კონტექსტში განიხილავდნენ. შესამჩნევია იყო როგორც ხელისუფლების კრიტიკა, ასევე, „ნაციონალური მოძრაობის“ დისკრედიტაციის მცდელობა.

არჩევნები არალეგიტიმურად ცნეს პოლიტიკური პარტიების „საქართველოს პატრიოტთა ალიანსისა“ და „ქართული იდეის“ ლიდერებმა [ირმა ინაშვილმა](#) და [ლევან ჩაჩუამ](#). მათ არჩევნების გაყალბებაში დაადანაშაულეს და თანაბარი პასუხისმგებლობა დააკისრეს „ქართულ ოცნებას“ და „ნაციონალურ მოძრაობას.“

არჩევნებთან კავშირში შეაფასა „ნაციონალური მოძრაობისა“ და „ქართული ოცნების“ საქმიანობა ულტრამემარჯვენე პოლიტიკური მოძრაობის „ერთობა, რაობა, იმედის“ ლიდერმა [ლევან ვასაძემაც](#). მან, ერთი მხრივ, ხელისუფლებას „ნაციონალურ მოძრაობასთან“ კოლაბორაციაში დასდო ბრალი, ხოლო, მეორე მხრივ, „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი განცხადება გააკეთა და ის დიდ ქველმოქმედად მოიხსენია.

„ალტ-ინფოს“ გადაცემაში „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ლიდერმა გურამ ფალავანდიშვილმა „ქართული ოცნების“ მხარდამჭერი [განცხადება](#) გააკეთა და აღნიშნა, რომ ის არ არის ანტაგონისტურად განწყობილი ხელისუფლების ამომრჩევლის მიმართ.

„ქართული მარშის“ ლიდერმა სანდრო ბრეგაძემ განაცხადა: „*ასჯერ რომ დაუყენო ალტერნატივად „ქართულ ოცნებას“ ნაციონალური მოძრაობა“, ასჯერვე ხელისუფლება გაიმარჯვებს.*“

საერთო ჯამში, 2021 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის [არჩევნებში](#) ათამდე მემარჯვენე-კონსერვატიული იდეოლოგიის მქონე პოლიტიკური სუბიექტი იღებდა მონაწილეობას, მათგან მკვეთრად ულტრამემარჯვენე განწყობებით „პატრიოტთა ალიანსი“ გამოირჩეოდა.

2024 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის უკვე შეინიშნებოდა ულტრამემარჯვენე ჯგუფების პოლიტიკურ პარტიებად ჩამოყალიბების მზარდი ტენდენცია. საჯარო რეესტრის ეროვნულმა სააგენტომ ულტრამემარჯვენე, ჰომოფობიური და ძალადობრივი გაერთიანება „ალტ-ინფოს“ ბაზაზე, [7 დეკემბერს](#) ოფიციალურად დაარეგისტრირა პარტია „კონსერვატიული მოძრაობა“, რომელიც ღიად ემზადება 2024 წლის არჩევნებისთვის და სამომავლო გეგმებში აქტიურად განიხილავს კრემლთან მოკავშირეობასა და პარტნიორული კავშირების განმტკიცებას.

2021 წლის 30 ოქტომბერს საზოგადოებრივი მოძრაობის „ერი და სახელმწიფოს“ ჰომოფობიური და ქსენოფობიური რიტორიკით ცნობილმა ზვიად ტომარაძემ, პოლიტიკური პარტიის [სადამფუძნებლო](#) ყრილობა ჩაატარა. მიუხედავად იმისა, რომ 2022 წლის აგვისტოს მონაცემებით, საჯარო რეესტრში არ არის ასახული პარტიის რეგისტრაცია, „ერი და სახელმწიფოს“ ლიდერები აქტიურად განაგრძობენ მხარდამჭერთა მოზილიზაციას.

ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტიები და საზოგადოებრივი მოძრაობები აქტიურად იყენებენ ოფიციალურ ვებგვერდებს საკუთარი პოლიტიკური იდეოლოგიის და დღის წესრიგის გასავრცელებლად. „ქართული იდეის“ სახელთან არის დაკავშირებული ონლაინ პლატფორმები [gartuliidea.ge](#) და [zneoba.ge](#). საზოგადოებრივი მოძრაობა „ერი, რაობა, იმედი“ ფლობს ვებსაიტს [eri.ge](#), ხოლო „საქართველოს პატრიოტთა ალიანსი“ საკუთარი პოლიტიკური რიტორიკის გასავრცელებლად იყენებს ვებგვერდს [patriots.ge](#).

1.2. ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტივაქსერული კამპანია

საანგარიშო პერიოდის საწყის ეტაპზე, თვითმმართველობის არჩევნების პარალელურად, ულტრამემარჯვენე დისკურსში აქტუალურ თემას პანდემია და მასთან დაკავშირებული ვაქცინაციის საწინააღმდეგო მედია კამპანია წარმოადგენდა. დეზინფორმაციული რიტორიკის მნიშვნელოვანი სამიზნე აღმოჩნდა ლუგარის ლაბორატორია, რომლის გარშემოც არაერთი შეთქმულების თეორია გავრცელდა.

ღიად პრორუსულმა მედიამ „საქართველო და მსოფლიომ“ 2021 წლის 28 სექტემბერს საზოგადოებას წარუდგინა „პენტაგონიდან გამოქონილ ინფორმაციის“ საფუძველზე მომზადებული [სტატია](#), რომ თითქოს ამერიკამ საქართველო ბიოლოგიური ექსპერიმენტის პოლიგონად აქცია და ლუგარის ლაბორატორია კორონავირუსის შექმნაში იყო ჩართული. იგივე გაიმეორა ულტრამემარჯვენე ბლოგერმა [ბექა ვარდოსანიძემ](#) საკუთარ ფეისბუქ გვერდზე და ერთი თვის შემდეგ, 24 ოქტომბერს გაავრცელა დეზინფორმაცია, რომ ლუგარის ლაბორატორია თავად მონაწილეობდა კორონავირუსის შექმნაში. სავალდებულო ვაქცინაციის წინააღმდეგ გამოდინდნენ ულტრამემარჯვენე ლიდერები [ლევან ჩაჩუა](#) და [ზვიად ტომარაძე](#). მათ საერთოდ უარყვეს პანდემიის არსებობა და ვაქცინაციის პროცესს გლობალურ-ლიბერალური ფლანგის მიერ თავსმოხვეული დიქტატურა უწოდეს.

ანტივაქსერულ დეზინფორმაციულ მედია კამპანიაში ყველაზე მეტად საზოგადოებრივი მოძრაობა „ერი და სახელმწიფოს“ ლიდერი ზვიად ტომარაძე აქტიურობდა, რომელიც ავრცელებდა ცრუ ინფორმაციას, როგორც პირბადეებთან, აგრეთვე ე.წ. კოვიდ პასპორტებთან დაკავშირებით. ტომარაძე საკუთარ [ფეისბუქ გვერდზე](#) გამოეხმაურა უწყებათაშორისი საკოორდინაციო საბჭოს [გადაწყვეტილებას](#), მოსწავლეთათვის პირბადის ტარების სავალდებულოობასთან დაკავშირებით. მისი განცხადებით, ბავშვებისთვის პირბადის ტარების ვალდებულების დაკისრებადანაშაულისა, ვინაიდან იწვევს იმუნიტეტის დაქვეითებას, უარყოფითად მოქმედებს ფილტვებზე და საერთოდ არ იცავს ვირუსისგან. ზვიად ტომარაძემ აღნიშნული დეზინფორმაცია ულტრამემარჯვენე მედია პლატფორმებზე [„ალტ-ინფოსა“](#) და [„ობიექტივზეც“](#) გაავრცელა.

ვაქცინაციის საწინააღმდეგო კამპანიაში აქტიურად იყო ჩართული მედია ბლოგერი ბექა ვარდოსანიძეც, რომელიც ზვიად ტომარაძის კვალდაკვალ ცდილობდა საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედებას და ანტივაქსერული განწყობების გაძლიერებას. საანგარიშო პერიოდში ზვიად ტომარაძემ, ბლოგერ ბექა ვარდოსანიძესთან ერთად 8 საპროტესტო აქცია დააორგანიზა. აქციების მთავარი მოთხოვნა „კოვიდ პასპორტების“ გაუქმება და საკოორდინაციო საბჭოს მიერ დაწესებული კოვიდ რეგულაციების გაუქმება იყო. ორგანიზატორებმა მხარდამჭერების მობილიზაცია ფეისბუქ გვერდებისა და ჯგუფების საშუალებით შეძლეს.

1.3. რუსეთ-უკრაინის ომი ულტრამემარჯვენე ჯგუფების ფოკუსში

ულტრამემარჯვენე დისკურსში, თებერვლიდან მოყოლებული, უმთავრეს საკითხს რუსეთ-უკრაინის ომი წარმოადგენს. სწორედ ომის ფონზე გაიშალა ანტიდასავლური რიტორიკა, ნატოს საწინააღმდეგო კამპანია და პრორუსული დისკურსი. ულტრამემარჯვენე ჯგუფების ძირითადი გზავნილების დროში ტრანსფორმაცია ქრონოლოგიურადაა გადმოცემული და გაანალიზებული წინამდებარე ანგარიშში.

უკრაინაში სამხედრო ინტერვენციისა და მშვიდობიან მოსახლეობაზე თავდასხმების პარალელურად, კრემლისტური მედია ინტენსიურ საინფორმაციო ომს აწარმოებდა. დეზინფორმაციულ მედია კამპანიაში საქართველოდან აქტიურად იყვნენ ჩართულები ღიად პროკრემლისტური და ულტრამემარჯვენე ჯგუფები. საწყის ეტაპზე მათი მთავარი მიზანი რუსეთის აგრესიის ლეგიტიმაცია იყო, რაც შემდგომ იდეოლოგიური გზავნილით ჩანაცვლდა, რომლის თანახმადაც, საქართველოსთვის სტრატეგიულ პარტნიორად და კოლექტიური დასავლეთის საპირწონედ რუსეთი იყო წარმოჩენილი. საანგარიშო პერიოდის მიწურულს კი, სახელისუფლებო წრეების წარმომადგენლებთან სრულ უნისონში გააქტიურდა ანტიდასავლური რიტორიკა, რომელიც მეტწილად საზოგადოებაში ომთან დაკავშირებული შიშების გაღვივებას ემსახურებოდა. ულტრამემარჯვენე ჯგუფები ცდილობდნენ რუსეთთან ომში უკრაინა ნატოსა და ევროკავშირის მიერ წაქეზებულ და შემდეგ მიტოვებულ მხარედ წარმოეჩინათ. შესაბამისად, უკრაინაში ომის ფონზე ღიად მოუწოდებდნენ ხელისუფლებას დასავლური საგარეო ვექტორის ცვლილებისა და სამხედრო ნეიტრალიტეტი გამოცხადებისკენ. მათ რიტორიკაში შესამჩნევი იყო რელიგიური იდენტობით მანიპულაცია და რუსეთთან, როგორც ერთმორწმუნე ქვეყანასთან იდეოლოგიური თანხვედრის ხაზგასმა.

საერთო ჯამში, ომის ფონზე ულტრამემარჯვენე ჯგუფები ცდილობდნენ წინ წამოეწიათ სამხედრო ნეიტრალიტეტის საკითხი, დაეთესათ შიში ომთან დაკავშირებით, გაეძლიერებინათ პროკრემლისტური განწყობები და დასავლეთი წარმოეჩინათ ნეგატიურ კონტექსტში, რომლის მიხედვითაც, საქართველოს და უკრაინის ყველა პრობლემის სათავე ნატო და ევროკავშირია. ყველაზე მაღალი ონლაინ ინტერაქციით გამოირჩეოდა დეზინფორმაცია, რომ დასავლეთს საქართველოში ომის მეორე ფრონტის გახსნა სურს. აღნიშნული ნარატივი გარკვეულ ეტაპზე პირდაპირ დაუკავშირდა კრემლისტურ გზავნილს, თითქოსდა ლიბერალური ძალები საქართველოში ადვილებენ რუსოფობიურ განწყობებს ომის პროვოცირების მიზნით. საანგარიშო პერიოდში, რუსული დეზინფორმაციის სამიზნე აღმოჩნდნენ უკრაინელი ლტოლვილებიც. ქართულ ულტრამემარჯვენე პლატფორმებზე ომის კვალდაკვალ, არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია, რომელიც მიზნად ისახავდა საზოგადოებაში უკრაინელთა მიმართ ნეგატიური განწყობების გაღვივებას.

მონიტორინგის პროცესში ცალსახად გამოიკვეთა, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფები რუსეთ-უკრაინის ომზე აპელირებით ცდილობდნენ ზემოქმედება მოეხდინათ საზოგადოებრივ განწყობებზე და მუდმივად ომის საფრთხეებზე საუბრით ხელი შეეწყოთ ქვეყნის საგარეო ვექტორის ცვლილებისთვის. მათი დეზინფორმაციული კამპანია, რომელიც მკვეთრად ანტისახელმწიფოებრივი ხასიათით გამოირჩევა, დღემდე მნიშვნელოვან ზიანს აყენებს საქართველოს საერთაშორისო იმიჯსა და ევროატლანტიკურ მისწრაფებებს.

2. ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიდასავლური რიტორიკა და მისი დროში ტრანსფორმაცია

ულტრამემარჯვენე ჯგუფების და მათი ლიდერების დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული გზავნილებით გაჯერებული ანტიდასავლური რიტორიკა მუდმივ რეჟიმშია აქტუალური, თუმცა, ტრანსფორმაციას განიცდის დროის კონკრეტული პერიოდისთვის მნიშვნელოვანი პოლიტიკური თუ სოციალური პროცესების შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისში, ანტიდასავლური გზავნილები შესამჩნევი იყო პანდემიისა და თვითმმართველობის არჩევნების ფონზე. ულტრამემარჯვენე პოლიტიკურ სუბიექტებთან დაკავშირებული ფეისბუქ გვერდები და ონლაინ მედიები ხშირად კოორდინირებულად ავრცელებდნენ პროპაგანდისტულ ინფორმაციას საზოგადოების დეზინტეგრაციის, პოლარიზაციის და ამ გზით ამომრჩევლის პოლიტიკურ განწყობებზე ზემოქმედების მიზნით. დეზინფორმაციული შინაარსის პოსტები მიმართული იყო დასავლური ინსტიტუტების დემონიზაციისკენ.

2021 წლის სექტემბერ-დეკემბრის შუალედში, მნიშვნელოვან ტენდენციად გამოიკვეთა ულტრამემარჯვენე ჯგუფების მხრიდან ვაქცინაციის საწინააღმდეგო დეზინფორმაციული კამპანიის ფონზე დასავლეთის დისკრედიტაციის მცდელობებიც. დეკემბერში აგრესიული რიტორიკის მსხვერპლი აღმოჩნდა საქართველოს სახალხო დამცველი ნინო ლომჯარია, რომლის საქმიანობის წინააღმდეგაც [24 დეკემბერს](#) პოლიტიკურმა პარტიამ „კონსერვატიულმა მოძრაობამ“ საპროტესტო აქცია გამართა. აქციის ორგანიზატორები სახალხო დამცველისგან 2021 წლის 5 ივლისს, ჟურნალისტთა თავდასხმაში ბრალდებული და დაკავებული მათი თანამოაზრეების უფლებების დაცვასა და მათ განთავისუფლებაში მხარდაჭერას მოითხოვდნენ. აქციის წინა დღეებში, 21 დეკემბერს „ალტ-ინფოსთან“ დაკავშირებულ ფეისბუქ გვერდზე „ტრადიციონალისტური პლატფორმა“ გამოქვეყნდა [ვიდეოები](#) სათაურით „ლიბერალიზმი მოკვდა“. ვიდეოში „კონსერვატიული მოძრაობის“ მხარდამჭერები თანამოაზრეებს 24 დეკემბრის საპროტესტო აქციაში მონაწილეობისკენ მოუწოდებენ და პროტესტის ნიშნად წვავენ

ევროკავშირის და ამერიკის შეერთებული შტატების დროშებს. ვიდეო მასალა ვირუსულად გავრცელდა ფეისბუქ გვერდებზე: [„ქართველი კონსერვატორები“](#) და [„ლევან ვასაძის მხარდამჭერები“](#). „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერები პირდაპირ აკისრებდნენ პასუხისმგებლობას 5 ივლისის ორგანიზებაზე ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის საელჩოებს, სახალხო დამცველს კი ბრალს სდებდნენ ორმაგ სტანდარტებსა და მიკერძოებულობაში მათი თანამოაზრეების წინააღმდეგ.

ოქტომბერში, არჩევნების პარალელურად, [„ალტ-ინფოს“](#) ეთერში წამყვანებმა კოლექტიური დასავლეთის დისკრედიტაციის მიზნით განაცხადეს, რომ საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ქვეყანაში შემოსვლა შესაძლებელი გახდა დასავლეთის დახმარებით, თურქეთიდან შემოსული ნატოს სამხედრო გემით. ანტივაქსერული კამპანიის გააქტიურებასთან ერთად კი, ანტიდასავლურ რიტორიკაში გაჩნდა ახალი გზავნილი, რომლის თანახმადაც, პანდემია გლობალისტური, დასავლური ძალების მიერ იყო თავსმოხვეული და მიზნად ისახავდა [კლვიდ დიქტატურის](#) დამყარებას მთელს მსოფლიოში.

2022 წლის თებერვლიდან-აგვისტოს ჩათვლით პერიოდში ყველაზე აქტუალურ საკითხად რუსეთ-უკრაინის ომი იქცა. შესაბამისად, ულტრამემარჯვენე ჯგუფების ანტიდასავლურ რიტორიკაში სრულიად ახალი ნარატივები გაჩნდა. 24 თებერვლიდან მოყოლებული, უკრაინაში მიმდინარე ომის ფონზე მნიშვნელოვან დეზინფორმაციულ მიმართულებად გამოიკვეთა საქართველოში ომის მეორე ფრონტის გახსნისა და გარდაუვალი ომის საფრთხეებზე მუდმივი ხაზგასმით საზოგადოებაში ირაციონალური შიშების გაღვივების მცდელობები.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების წარმომადგენლები ყალბი ინფორმაციის გავრცელების გზით ცდილობდნენ ერთმანეთთან დაეკავშირებინათ საქართველოსთვის ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსის მინიჭებისა და დასავლეთის წაქეზებით ომის მეორე ფრონტის გახსნის საკითხი. ანტიდასავლური დეზინფორმაციული მედია კამპანია გაგრძელდა და ტრანსფორმირდა ევროპული საბჭოს საბოლოო გადაწყვეტილების მიღების შემდეგაც, რომლის თანახმადაც, უკრაინასა და მოლდოვას წევრობის კანდიდატი ქვეყნების სტატუსი მიენიჭათ, ხოლო საქართველოს სტატუსის მიღების შესაძლებლობა ევროკომისიის მიერ დაწესებული რეკომენდაციების შესრულების პირობით 2022 წლის ბოლომდე გადაუვადდა. საგულისხმოა, რომ ევროკომისიის გადაწყვეტილებას, ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსთან დაკავშირებით, იდენტური ანტიდასავლური გზავნილებით გამოეხმაურნენ „ქართული ოცნების“ როგორც მოქმედი, ასევე პარტიისგან საზოგადოებისთვის მეტი ინფორმაციის მიწოდების მიზნით „განმდგარი“ წევრები და ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლიდერები.

სახელისუფლებო და ულტრამემარჯვენე ჯგუფების საინფორმაციო კამპანია ხასიათდებოდა დასავლეთის დისკრედიტაციის, ოპოზიციური ძალების დემონიზების და ევროატლანტიკურ ინტეგრაციასთან მიმართებაში საზოგადოებაში ნიჰილისტური განწყობების გაღვივების აშკარა

მცდელობებით. ცალკეულ შემთხვევებში გაჟღერდა „ქართული ოცნების“ დამფუძნებლის ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი გზავნილებიც. „ქართული ოცნების“ წარმომადგენლების მსგავსად, ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლიდერები იდენტური გზავნილებით ეწეოდნენ საპროტესტო აქციების „შინ ევროპისკენ“ დისკრედიტაციას და ქვეყნის დესტაბილიზაციაში მთავარ დამნაშავედ ოპოზიციურ პარტიებს ასახელებდნენ.

ომის ფონზე მიმდინარე ანტიდასავლური რიტორიკის ერთ-ერთი მთავარი გზავნილი იყო დასავლური სტრატეგიული პარტნიორების წარმოჩენა საქართველოსთვის მტრულად განწყობილ მხარეებად, რომლებიც უხეშად და არალეგიტიმურად ერევიან სუვერენული ქვეყნის შიდა საქმეებში. ამ თვალსაზრისით, საანგარიშო პერიოდში ულტრამემარჯვენე ჯგუფების აგრესიული რიტორიკის მთავარი სამიზნე საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატებისა და ევროკავშირის ელჩები იყვნენ. ულტრამემარჯვენე დაჯგუფებები ცდილობდნენ ნეგატიურ კონტექსტში წარმოეჩინათ საქართველოსა და მისი დასავლური პარტნიორების ურთიერთკავშირი და ავრცელებდნენ დეზინფორმაციას, რომ ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს განიხილავს არა როგორც თანასწორ ქვეყანას, არამედ დაქვემდებარებულ მხარეს, რომელსაც საკუთარი ინტერესების შესაბამისად იყენებს.

ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ წამოწყებულ საინფორმაციო პროპაგანდისტულ ომში უწყვეტად ფიგურირებს ევროატლანტიკური ინსტიტუტების დემორალიზების ხაზი. თუმცა, აღნიშნული კამპანია ერთიორად გაიზარდა რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე; ტრანსფორმირდა ნარატივებიც. „ალტ-ინფოს“ გუნდი აქტიურად ცდილობდა უკრაინის ხელისუფლება წარმოეჩინა დასავლეთის „მარიონეტულ“ რეჟიმად, რომელიც ნატომ წააქეზა რუსეთის წინააღმდეგ საბრძოლველად. შესაბამისად, უკრაინის კრიზისს „ალტ-ინფო“ ნატოს საწინააღმდეგო სკეპტიკური განწყობების გაღვივებისა და დასავლეთისგან სრული დისტანცირების საჭიროების საილუსტრაციოდ იყენებდა. უკრაინაში მიმდინარე ომის დაწყების ეს „ლოგიკა“ სრულ თანხვედრაშია პრორუსული მედია საშუალებების გზავნილებთან, რაც მიზნად ისახავს საზოგადოებაში ოკუპირებული ტერიტორიების დაკარგვასთან დაკავშირებული შიშების გაცოცხლებას და ნატო-ში გაწევრიანების სურვილის, როგორც საქართველოს ეროვნულ ინტერესებთან შეუთავსებლობის იდეის წარმოჩენას.

ანტიდასავლური რიტორიკისა და ევროატლანტიკური ინსტიტუტების დემონიზაციის ფონზე, ულტრამემარჯვენე ლიდერები ღიად ლობირებდნენ ალტერნატიულ, პრორუსულ საგარეო პოლიტიკურ კურსს, მოუწოდებდნენ რა საქართველოს ხელისუფლებას კრემლთან დიალოგისკენ. მათი პროპაგანდისტული კამპანიის მთავარი მიზანი საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილება და შესაბამისად, მოსახლეობაში პროდასავლური განწყობების პრორუსულით ჩანაცვლება იყო. ეს დაჯგუფებები ევროკავშირთან დაკავშირებით ნიჰილიზმსაც თესავდნენ და ამტკიცებენ, რომ საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების რეალური პერსპექტივა არ გააჩნია.

ულტრამემარჯვენე ჯგუფები საქართველოში პროპაგანდისტული მოსაზრებების და დეზინფორმაციული ნარატივების გასავრცელებლად ყველაზე ხშირად იყენებენ სოციალურ მედიას. განსაკუთრებით შესამჩნევი იყო მათი გააქტიურება ტელეგრამ არხებსა და რუსულენოვან პლატფორმა vkontakte.ru-ზე. აღნიშნული ტენდენცია ფეისბუქის მიერ 2020 წლიდან მოყოლებული, ულტრამემარჯვენე ჯგუფებთან ღიად დაკავშირებული გვერდებისა და ჯგუფების მასობრივმა დაბლოკვამ გამოიწვია, ამ ჯგუფების „კოორდინირებული, არაავთენტური ქცევის“ გამო. საანგარიშო პერიოდში შესამჩნევი ტენდენცია იყო ევროკავშირის ფასეულობებისა და ღირებულებების დისკრედიტაციის მცდელობები, რაც საზოგადოებაში ეროვნული იდენტობის დაკარგვასთან დაკავშირებული ირაციონალური შიშების დათესვას ემსახურებოდა.

საანგარიშო პერიოდში, ანტიდასავლური რიტორიკა ყველაზე ხშირად შეიმჩნეოდა ულტრამემარჯვენე ფეისბუქ გვერდებზე: [„აზიმუტი“](#), [„სარკაზმელები“](#), [„ანტილიბერალური კოალიცია“](#), [„ტრადიციონალისტური პლატფორმა“](#) და [„კონსერვატორი“](#). აღნიშნულ გვერდებზე აქტიურად მიმდინარეობდა ერთი მხრივ, ოპოზიციური სპექტრის დისკრედიტაცია და მეორე მხრივ, ლევან ვასაძის პოლიტიკური მოძრაობა „ერის“ და „ალტ-ინფოს“ გუნდის მხარდაჭერა.

2.1. „ქართული ოცნების“ და ულტრამემარჯვენე ჯგუფების იდენტური ანტიდასავლური გზავნილები

როგორც ზევით აღვნიშნეთ, საანგარიშო პერიოდში ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების ანტიდასავლურ კამპანიაში ცენტრალური ადგილი ეჭირა საქართველოს ომში ჩაბმასთან დაკავშირებით შიშის გაღვივების მიზანმიმართულ მცდელობებს. ამ დისკურსში „დასავლეთი“ წარმოჩენილი იყო მხარედ, რომელიც საქართველოს ხელისუფლებას ქვეყანაში ომის მეორე ფრონტის გახსნას აიძულებდა. დეზინფორმაციული კამპანიის მთავარი სამიზნე აღმოჩნდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში კელი დეგნანი. ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების მხრიდან დასავლეთის ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენის ტენდენცია მნიშვნელოვნად გაამძლიერა ხელისუფლების წარმომადგენელთა და მათთან ღიად დაკავშირებული პირების რიტორიკამ.

დაკვირვება აჩვენებს, რომ ულტრამემარჯვენე ჯგუფებისა და „ქართული ოცნების“ ანტიდასავლური რიტორიკა განსაკუთრებით აქტიურდება მაშინ, როდესაც დასავლეთი ბიძინა ივანიშვილს აკრიტიკებს. საწყის ეტაპზე, ამ მიმართულებით საკვანძო მოვლენად იქცა ევროპარლამენტის მიერ 2022 წლის 9 ივნისს მიღებული რეზოლუცია „საქართველოში მედიის თავისუფლებისა და ჟურნალისტების უსაფრთხოების დარღვევის შესახებ“, სადაც ევროპარლამენტმა ბიძინა ივანიშვილი გააკრიტიკა საქართველოში დემოკრატიული პროცესების გაუარესებაში შესრულებული როლის გამო და მისთვის სანქციების დაწესების რეკომენდაცია გასცა. რეზოლუციის გამო-

ქვეყნების კვალდაკვალ, ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა და „ქართულმა ოცნებამ“ უნისონში გაავრცელეს იდენტური ანტიდასავლური გზავნილები და ბიძინა ივანიშვილის მხარდამჭერი განცხადებები. ორივე ჯგუფი დასავლეთის ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენას შეეცადა და ბრალი დასდო ევროატლანტიკურ ინსტიტუტებს საქართველოში ომის გაჩაღების პროვოცირებაში. ხელისუფლების მხრიდან, ანტიდასავლურ რიტორიკით გამოირჩეოდნენ „ქართული ოცნების“ ლიდერები: მამუკა მდინარაძე, ირაკლი კობახიძე და პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი. მათ, პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ ხელმძღვანელთა მსგავსად, მწვავედ გააკრიტიკეს ევროპარლამენტის რეზოლუცია და ევროპარლამენტარები ომის პროვოცირებასა და საქართველოს ეროვნული ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებებში დაადანაშაულეს.

10 ივნისს „კონსერვატიული მოძრაობის/ალტ-ინფოს“ გენერალური მდივანი გიორგი ქარდავა გადაცემა „ალტერნატიულ ხედვაში“ კრიტიკულად გამოეხმაურა ევროპარლამენტის რეზოლუციას და განაცხადა, რომ „დასავლეთს საქართველო სჭირდება დამაბულობის კერად, საომარ პლაცდარმად. ამ ფუნქციას ბიძინა ივანიშვილი ვერ შეუსრულებს, სულ რომ გეიპარადი ჩაუტაროს.“ იდენტური გზავნილები ჰქონდა „ქართული ოცნების“ ერთ-ერთ ლიდერს მამუკა მდინარაძესაც, რომელიც 8 ივნისს ევროპარლამენტში გამართულ დებატებს გამოეხმაურა და ღიად დასდო ბრალი დასავლეთს საქართველოში ომის მეორე ფრონტის გახსნის წაქეზებაში.

„ნაციონალური მოძრაობის“ ინტერესების გატარებაში დასდეს ბრალი ევროპარლამენტარებს „კონსერვატიული მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა გიორგი ქარდავამ და „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ ირაკლი კობახიძემ. კერძოდ, 9 ივნისს გამართულ საგანგებო ბრიფინგზე სახელისუფლებო პარტიის ლიდერმა განაცხადა, რომ ევროპარლამენტის რეზოლუცია არის „პარადოქსი“ და დაგმო ევროპარლამენტარების მოთხოვნა მიხეილ სააკაშვილის „განთავისუფლებასა“ და ბიძინა ივანიშვილისთვის სანქციების დაწესების თაობაზე. ასევე გაავრცელა ნარატივი საქართველოს ომში ჩართვის მცდელობასთან დაკავშირებით და განაცხადა: „შეიძლება „კეთილმოსურნეებს“ არ მოსწონთ, რომ საქართველო სრულიად საბედისწერო და ფატალურ ომში არ ჩაერთო და ქვეყანა არავის გაანადგურებინა.“ „ალტ-ინფოს“ გადაცემა „ალტერნატიულ ხედვაში“ პარტია „კონსერვატიული მოძრაობის“ გენერალურმა მდივანმა გიორგი ქარდავამ კი განაცხადა, რომ „ქართული ოცნებისადმი“ ევროპარლამენტის კრიტიკული რეზოლუცია პირდაპირ უკავშირდება „ნაციონალური მოძრაობის“ მცდელობებს და მიზნად ისახავს რუსეთთან პოლიტიკური ურთიერთობების დამაბვას.

რეზოლუციის შეფასების ნაწილში, ძირითადი დეზინფორმაციული ნარატივი, რომლის თანახმადაც, დასავლეთი ცდილობს საქართველოს ომში ჩართვას, გაავრცელა „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერმა კონსტანტინე მორგოშიამაც და პარალელურად, ბიძინა ივანიშვილს გამოუცხადა მხარდაჭერა. მორგოშიამ 11 ივნისს „ალტ-ინფოს“ გადაცემა „დღის კომენტარში“ აღნიშნა: „რეზოლუციის ნაწილი, რაც გაჟღერდა, სავსებით უსამართლოა, როგორც მედიის

კუთხით, ასევე ბიძინა ივანიშვილის მისამართით, რომელსაც იმის გამო, რომ არ სურს დაუპირისპირდეს ქართველ ხალხს და ომის მეორე ფრონტი გახსნას საქართველოში, უწესებენ სანქციებს.“

რეზოლუცია საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმაც [შეაფასა](#) და მას „სამარცხვინო“ უწოდა. „სამარცხვინო რეზოლუციას მე ვაპროტესტებ, აკლდა მეგის ქარდავა, მთავარი ჯალათი, სააკაშვილის სახე, რომლის მკვლელების ბრიგადები აწამებდნენ, აუპატიურებდნენ ჩვენს მოქალაქეებს.“

ულტრამემარჯვენე ლიდერებისა და ხელისუფლების წარმომადგენელთა ორკესტრირებული თავდასხმა ქვეყნის დასავლელ პარტნიორებზე განსაკუთრებით გაძლიერდა ბიძინა ივანიშვილის მიერ 27 ივლისს გამოქვეყნებული [ღია წერილის](#) შემდეგ. საქართველოს ყოფილმა პრემიერმა დადებითად შეაფასა „ქართული ოცნების“ პოლიტიკური საქმიანობა, გაიმეორა ომში ჩართვის ანტიდასავლური ნარატივი და შვეიცარიის ბანკში არსებული პირადი ფინანსური დავა დაუკავშირა საქართველოში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს. წერილში ივანიშვილმა აღნიშნა, რომ უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ ის შეხვდა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს კელი დეგნანს და დასძინა, რომ ეს თავად დიპლომატის ინიციატივით მოხდა. ამ განცხადებით მან ერთგვარად გააგრძელა ანტიდასავლური რიტორიკა, რომელიც „ქართული ოცნებიდან“ ფორმალურად გასულმა დეპუტატმა მიხეილ ყაველაშვილმა წამოიწყო კელი დეგნანის წინააღმდეგ. მან ღიად დასდო ბრალი ელჩს საქართველოს ომში ჩართვის მცდელობაში და ამის დასტურად ელჩის ბიძინა ივანიშვილთან შეხვედრა მოიყვანა, უკრაინაში ომის დაწყების შემდეგ. ყაველაშვილმა მოუწოდა ბიძინა ივანიშვილს, საზოგადოებისთვის გაეცნო ელჩთან შეხვედრის დეტალები და პასუხი გაეცა რიტორიკულ შეკითხვაზე, ხომ არ ხორციელდებოდა მასზე რაიმე სახის შანტაჟი, საქართველოში ომის მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით.

ბიძინა ივანიშვილის წერილი პირდაპირ დაუკავშირა საქართველოს ომში ჩართვის მცდელობას **თბილისის მერმა კახა კალაძემ** და განაცხადა, რომ ამ მიმართულებით განსაკუთრებით აქტიურობდნენ „არასამთავრობო ორგანიზაციები, კონკრეტული პოლიტიკური პარტიები და „ჩვენი მეგობარი ქვეყნის“ უშიშროების საბჭოს ხელმძღვანელი“.

„ქართული ოცნებისგან“ ფორმალურად წასული დეპუტატების და თბილისის მერის გზავნილები გაიმეორეს ულტრამემარჯვენე ფლანგის ლიდერებმა:

- ბიძინა ივანიშვილის წერილს ტელე-არხ „[ობიექტივში](#)“ გამოეხმაურა ულტრამემარჯვენე პარტიის „პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარე **დავით თარხან-მოურავი** და აღნიშნა, რომ „ამ წერილიდან ნათლად გამოჩნდა, რომ მცდელობები იყო საქართველოს ომში ჩართვის რეალურად ძალიან დიდი ფინანსური წნეხია ბიძინა ივანიშვილზე და ჩემი აზრით, გამოსავალი იმაში მდგომარეობს, რომ ის დაბრუნდეს პოლიტიკაში“.

- 27 ივლისს, ყოფილი პრემიერის წერილს „ალტ-ინფოს“ გადაცემა „დღის კომენტარში“ ულტრამემარჯვენე ორგანიზაციის „ბავშვთა უფლებების დაცვის საზოგადოების“ ლიდერი **ალექსანდრე ფალავანდიშვილი** გამოეხმაურა: „ივანიშვილმა გამოგზავნა მესიჯი, რომ „ქართულ ოცნებას“ დასავლეთთან ურთიერთობა დაეძაბა მას შემდეგ, რაც ომში ჩართვაზე უარი განაცხადეს“. ამავე გადაცემაში მან ექსპრემიერის წერილი განიხილა, როგორც დასავლეთის მცდელობა, საკუთარი დიპლომატიური კორპუსის დახმარებით, ომში ჩართოს საქართველო რუსეთის წინააღმდეგ.
- **ზიძინა ივანიშვილის წერილს გამოეხმაურა ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტია „ქართული იდეის“ ლიდერი ლევან ჩაჩუაძე.** მანაც გაიზიარა დასავლეთის ზეწოლით საქართველოს ომში ჩაბმის ნარატივი და ექსპრემიერის როლი შეაფასა, როგორც სწორი და პრაგმატული პოზიცია. „ხელისუფლებამ პრაგმატული პოზიცია დაიკავა, როდესაც ევროპისა და ამერიკის ზეწოლას გაუძლო და ქვეყანა რუსეთთან ომში არ ჩააბა. სწორი გათვლაა, ამით ხელისუფლებასაც შეინარჩუნებენ და ყავლგასულ პარტიებსაც ჩამოიშორებენ,“ - განაცხადა „ქართული იდეის“ ლიდერმა.



ომის რიტორიკის გაღვივებაში ღიად დასდეს ბრალი ამერიკის შეერთებული შტატების ელჩს საქართველოში „ქართული ოცნებიდან“ ფორმალურად წასულმა სხვა დეპუტატებმაც სოზარ სუბარმა და დიმიტრი ხუნდაძემ. მათი 25 ივლისს გავრცელებულ წერილში ნათქვამია: „თქვენ არათუ არ ემიჯნებით ომისკენ მიმართულ რიტორიკას, არამედ მხარს უჭერთ და თავად აღვივებთ მას; თქვენ თანაუგრძნობთ ბაკურიანის რევოლუციურ შეკრებას და იზიარებთ მთავრობის გადადგომისა და ტექნიკური მთავრობის ფორმირების მოთხოვნას.“ „ქართული ოცნების“ ყოფილმა წევრებმა კელი დეგნანს ბრალი დასდეს სასამართლო პროცესებში უხეშ

ჩარევში და ამის დასტურად მოიყვანეს „მთავარი არხის“ გენერალური დირექტორის ნიკა გვარამიას საქმის მოსამართლის ლაშა ჩხიკვაძის განცხადება, სადაც ჩხიკვაძე საელჩოს მასზე ზეწოლაში ადანაშაულებს. ელჩმა აღნიშნული ბრალდება [უარყო](#).

ელჩის პასუხის შემდეგ ხელისუფლების წარმომადგენლებმა და ულტრამემარჯვენე ჯგუფების ლიდერებმა კიდევ უფრო გააძლიერეს ამერიკის შეერთებული შტატის ელჩის მადისკრედიტ-ირებელი კამპანია, „ქართული ოცნების“ თავმჯდომარისთვის საკმარისად მკაფიო არ აღმოჩნდა კელი დეგნანის განმარტება და [განაცხადა](#), რომ „აშშ-ს ელჩისგან ვერ მოისმინა განცხადება, რომ საელჩოდან მოსამართლე ლაშა ჩხიკვაძეზე ზეწოლას „არავინ იკადრებდა“. ხელისუფლების მხარდამჭერ ფეისბუქ გვერდზე [„მეხუთე კოლონა“](#), კელი დეგნანის გამოსახულებით გამოქვეყნდა სატირული ქარდი წარწერით „თვით სამართალი“. იდენტური ქარდი გავრცელდა ულტრამემარჯვენე მედია პლატფორმა „ალტ-ინფოსთან“ დაკავშირებულ გვერდზე [„სარკაზმელები“](#). ამერიკის შეერთებული შტატების მხრიდან საქართველოს ომში ჩართვის დეზინფორმაციული ნარატივი აქტიურად გავრცელდა ხელისუფლებასთან დაკავშირებულ გვერდებზე: [„geopress“](#) და [„სიახლეების ბლოგი“](#).



თვით სამართალი...

მეხუთე კოლონა / 5kolona



**მიხეილ ყაველაშვილის ღია
ნარილი კალი დეგნანს**

**ქალბატონო ელჩო!
რამდენიმე დღის წინ თქვენ
დღის წინ თქვენ ბრძანეთ, ვი...**

GeoPress

კელი დეგნანის წინააღმდეგ მიმართულ ანტიდასავლურ რიტორიკას შეუერთდა „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერი **ზურა მახარაძე**. ის გამოეხმაურა „ქართული ოცნებიდან“ ფორმალურად წასული დეპუტატების საჯარო წერილს და აღნიშნა, რომ ელჩი კელი დეგნანი უშუალოდ ასრულებს ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობის დირექტივებს და მხარს უჭერს ომის მესვეურებს, რადგან აშშ-ს სურვილია საქართველომ რუსეთის წინააღმდეგ მეორე ფრონტი გახსნას.

ანტიდასავლური რიტორიკა განსაკუთრებულად გაძლიერდა მას შემდეგ, რაც ევროპული საბჭოს გადაწყვეტილებით, 24 ივნისს მოლდოვასა და უკრაინას ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი მიენიჭათ, საქართველოს შესახებ გადაწყვეტილების მიღება კი დემოკრატიული ინსტიტუტების გაძლიერების პირობით დაწესებული რეკომენდაციების შესრულებამდე გადავადდა. სახელისუფლებო და ულტრამემარჯვენე ლიდერებმა კანდიდატის სტატუსის ვერმიღება ომში ჩაურთველობით ახსნეს და დასავლელ პარტნიორებს ღიად დაესხნენ თავს.

პარლამენტში სამთავრობო პროგრამის შესრულების ანგარიშის წარდგენისას **პრემიერ-მინისტრმა ღარიბაშვილმა განაცხადა**, რომ უკრაინას სტატუსი მხოლოდ იმის გამო მიანიჭეს, რომ ის ომშია ჩაბმული და დასძინა, რომ „*საქართველო უნდა დაისაჯოს იმის გამო, რომ ომი არ არის დღეს საქართველოში?! როგორ გავიგოთ ეს?!*“.

- „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ **ირაკლი კობახიძემ განაცხადა**: „ჩვენ რომ ჩავერთოთ სამხედრო კონფლიქტში, ამ შემთხვევაში გვაქვს გარანტირებული კანდიდატის სტატუსი დეკემბერში“. მანაც ასევე აღნიშნა, რომ უკრაინამ ევროკავშირის წევრობის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი ომის გამო მიიღო.
- ულტრამემარჯვენე მედია პლატფორმაზე „ალტ-ინფო“ ხელისუფლების წარმომადგენელთა გზავნილი **გაიმეორა** საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს წევრმა **ბონდო მმინარაშვილმა**: „*უარი გვითხრეს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე და ეს მხოლოდ იმიტომ, რომ ჩვენ არ გავხსენით მეორე ფრონტი რუსეთის წინააღმდეგ.*“
- საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის არმინიჭების გადაწყვეტილებას „**კონსერვატიული მოძრაობის**“ **პოლიტსაბჭოს წევრი ირაკლი მარტინენკო** გამოეხმაურა და სამთავრობო „მესიჯბოქსი“ **გაიმეორა**, რომლის თანახმად, უკრაინამ კანდიდატის სტატუსი მხოლოდ საომარი მდგომარეობის გამო მიიღო. „*რამხელა ცინიზმია, როდესაც კანდიდატის სტატუსის მინიჭებას უკრაინის საომარ მდგომარეობას უკავშირებენ. ანუ, ჩვენ რომ ომში ვყოფილიყავით, ჩვენც მივიღებდით ამ სტატუსს. „ქართულმა ოცნებამ“ გააკეთა ყველაფერი, რაც მოსთხოვეს, გარდა იმისა, რომ ის არ ჩაერთო ომში.*“

- ევროპული საბჭოს გადაწყვეტილება „კონსერ-ვატიული მოძრაობის“ ლიდერმა ზურა მახარაძემ ოპოზიციური პარტიების გამლიერების მიზანს დაუკავშირა და „ალტინფოს“ ეთერში [განაცხადა](#), „შინ ევროპისკენ“ საპროტესტო აქციები ანალოგია უკრაინაში მეიდნის აქციებისა, რომლის შედეგადაც უკრაინამ დაკარგა ტერიტორიები და მიიღო ომი რუსეთთან. ანალოგიური გეგმა არის აქაც. ეს რამდენად განხორციელდება, ეგ მეორე საკითხია. ლოგიკა არის შემდეგნაირი, – უნდა აიწიოს ეს ტალღა, – „ევროპელობას გვართმევენ“. სანამ გადაწყვეტილება გამოცხადდებოდა, ჩვენ ვამბობდით, იმიტომ არ მოგვცემდნენ კანდიდატის სტატუსს, რომ გაედლიერებინათ ამათი მუხტი. ოპოზიციამ საპროტესტო სხვა ყველა თემა უკვე დაკარგა.“



კომენტარი
 „რამხელა ცინიზმით, როდესაც კანდიდატის სტატუსის მინიჭებას უკრაინის საომარი მდგომარეობას უკავშირებენ. ანუ. ჩვენ რომ ომში ვყოფილიყავით...“-ირაკლი მარტინენკო

კომენტარი
 „იმიტომ არ მოგვცემდნენ კანდიდატის სტატუსს, რომ ვამძლიერებინათ ამათი მუხტი. ოპოზიციამ საპროტესტო ყველა თემა უკვე დაკარგა...“-ზურა მახარაძე

3. კამპანია ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წინააღმდეგ

ჩრდილოატლანტიკურ ალიანსში გაწევრიანება საქართველოს საგარეო პოლიტიკური კურსის გაცხადებულ მიზანს წარმოადგენს, რომელსაც საქართველოს მოსახლეობის სრული უმრავლესობის უჭერს მხარს. შესაბამისად, ულტრამემარჯვენე ჯგუფების დეზინფორმაციულ კამპანიაში მნიშვნელოვანი ადგილი ნატოს დისკრედიტაციას უჭირავს. აღსანიშნავია, რომ ნატოს წინააღმდეგ დეზინფორმაციული კამპანია რამდენიმე წელია უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს და პროპაგანდისტული გზავნილების მორგებაც აქტიურად ხდება აქტუალური პოლიტიკური თუ სოციალური პროცესების შესაბამისად.

საანგარიშო პერიოდის დასაწყისში, 2021 წლის თვითმმართველობის არჩევნების ფონზე, ულტრამემარჯვენე დისკურსში აქტიურად განიხილებოდა სამხედრო ნეიტრალიტეტის საკითხი; რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე კი, წინა პლანზე გადმოიწია ონლაინ ნარატივმა, რომ თითქოს, საქართველოსთვის ნატოში ინტეგრაცია დამღუპველია. ამის პარალელურად, ულტრამემარჯვენე ჯგუფებმა რუსეთთან მჭიდრო კომუნიკაციის იდეას აქტუალურობა შესძინეს.

წინასაარჩევნო პერიოდში, ნატოში გაწევრიანების იდეის დისკრედიტაციას სამხედრო ნეიტრალიტეტზე აპელირებით აქტიურად ეწეოდა ულტრამემარჯვენე პოლიტიკური პარტია [„პატრიოტთა ალიანსი“](#). პარტიის ლიდერები დავით თარხან-მოურავი და ირმა ინაშვილი ამომრჩეველს ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის პრობლემის გადაჭრის უალტერნატივო გზად სწორედ სამხედრო მიუმხრობლობის იდეას სთავაზობდნენ. უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციამდე რამდენიმე დღით ადრე, 21 თებერვალს, ულტრამემარჯვენე პარტიებმა „საქართველოს პატრიოტთა ალიანსმა“, „ქართულმა მარშმა“ და მათთან დაკავშირებული 50-მდე ორგანიზაციამ [ღია წერილით](#) მიმართა ვლადიმირ პუტინს. წერილში აღნიშნულია, რომ ისინი ემხრობიან საქართველოს სამხედრო ნეიტრალიტეტს და რუსეთთან ურთიერთობის დათბობას.

რუსეთ-უკრაინის ომისა და აშშ-ს ელჩზე თავდასხმების ფონზე, ულტრამემარჯვენე დაჯგუფებებმა გაავრცელეს მკაფიო გზავნილები ხელისუფლებისა და საზოგადოებისადმი, რომ საქართველომ უარი უნდა თქვას ნატოში ინტეგრაციის განცხადებულ სურვილზე და პრიორიტეტი პრორუსულ საგარეო კურსს მიანიჭოს. „ალტ-ინფო“ ცდილობდა რუსეთთან ომში უკრაინა ნატოს მიერ წაქეზებულ და შემდეგ მიტოვებულ მხარედ წარმოაჩინა და ხელისუფლებას დასავლური კურსის შეცვლისა და სამხედრო ნეიტრალიტეტის გამოცხადებისკენ მოუწოდებდა. რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, ნატოს დისკრედიტაციას აქტიურად ცდილობდა ულტრამემარჯვენე რიტორიკით გამორჩეული ფეისბუქ გვერდი [„კარდჰუ“](#). მის პლატფორმაზე ხშირად ვრცელდება ფოტო და ვიდეო მასალა, რომელშიც ხაზგასმულია რუსეთის სამხედრო უპირატესობები და ამ ფონზე, საქართველოს ნატოში გაწევრიანების მცდელობა მნიშვნელოვან საფრთხედ იყო შეფასებული.

ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების ხელმძღვანელები ნატოს დისკრედიტაციასთან ერთად მუდმივად მუშაობდნენ ნეიტრალიტეტის საკითხის წინ წამოწევაზე. ხშირ შემთხვევაში, ნეიტრალიტეტი ქვეყნის სტაბილურობისა და სიმშვიდის ერთადერთ გარანტად იყო წარმოჩენილი.

პოლიტიკური პარტია „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა დავით თარხან-მოურავმა „ტვ. ობიექტივის“ ეთერში [განაცხადა](#), რომ „*ომის შემდგომი პერიოდის განმავლობაში ნეიტრალიტეტის პოლიტიკა საქართველოს მსგავსი პატარა ქვეყნებისთვის ერთადერთი გზაა მშვიდობის მისაღწევად.*“

უკრაინაში მიმდინარე ომზე სრული პასუხისმგებლობა ნატოს დააკისრა „პატრიოტთა ალიანსის“ კიდევ ერთმა ლიდერმა ირმა ინაშვილმა. მან ნატო ომის წამქეზებელ ძალად, უკრაინა კი საკუთარი დასავლური მისწრაფებების მსხვერპლად მოიხსენია. ინაშვილი: „*ვერანაირი ნატო ვერ და არ დაეხმარა უკრაინას! არსად არც შეიყვანეს და არც გააწევრიანეს. სამაგიეროდ, აქეზებდნენ და აქეზებენ!*“ ასეთი განცხადებები მიზნად ისახავს საზოგადოების დაშინებას და ევროსკეპტიციზმის გაღვივებას.

პარალელურად, „ალტ-ინფოს“ გუნდი ნატოს წინააღმდეგ იყენებდა მეორე მნიშვნელოვან დეზინფორმაციას, თითქოს სამხედრო ალიანსი საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე ცდილობდა უკრაინაში ომის გახანგრძლივებას. „[კონსერვატიული მოძრაობის](#)“ ლიდერის კონსტანტინე მორგომიას განცხადებით, „*ნატოს წევრი ქვეყნები, საკუთარი ინტერესებიდან გამომდინარე, მზად არიან იბრძოლონ უკანასკნელ უკრაინელ ჯარისკაცებამდე, რომელთაგან ზოგიერთი ნაცისტია, ნაწილი კი ნამდვილი უკრაინელი ჯარისკაცი, რომლებიც სამშობლოს იცავენ.*“ ამით ულტრამემარჯვენეები ცდილობენ საზოგადოებაში გააჩინონ განცდა, რომ ნატო ვერ და არ იქნება საქართველოსთვის უსაფრთხოების გარანტი. ცხადია, ნეიტრალიტეტის მოთხოვნა შეფარულ პროგრემლისტურ გზავნილს წარმოადგენს და პრორუსული საგარეო კურსის ლობირებას მიზნად ისახავს.

ნატოსადმი პოზიტიური საზოგადოებრივი განწყობებისა და მხარდაჭერის შემცირებას ისახავდა მიზნად [კონსტანტინე მორგომიას](#) მორიგი [განცხადება](#), სადაც მან რუსეთ-უკრაინის ომში ღიად დაუჭირა მხარი რუსეთს და განაცხადა, რომ ნატოსთან მიმართებაში კრემლი მორალურად მართალია. მან რუსეთი მსხვერპლად გამოიყვანა, დასავლეთი კი პროვოკატორ მხარედ. მორგომიას განცხადებით, „*მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის 20% რუსეთის მიერ არის ოკუპირებული, ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის გასაღები სწორედ მოსკოვში იმალება.*“

მორგომიამ [6 მაისს](#) „ალტ-ინფოს“ გადაცემა „ალტერნატიულ ხედვაში“ ნატო ღიად დაადანაშაულა საქართველოში ომის მეორე ფრონტის გახსნის მცდელობაში და აღნიშნა, რომ დასავლეთი ისევ გაწირავს საქართველოს, როგორც უკრაინა მიატოვა ომში. „*ამას არ უნდა ბევრი ახსნა და ბევრი ფიქრი. ნატოს მოთხოვნა არის მეორე ფრონტის გახსნა საქართველოში. თვეების წინაც იგივე მოთხოვნა და იგივე მცდელობები ჰქონდათ. თუ უკრაინა გაწირეს,*

საქართველო რა არის, არ გაწირავენ? თავისთავად ცხადია, საქართველოს „დაახურდავენ სათამაშო ფიშკად“.

რუსეთ-უკრაინის ომს დაწყებისთანავე გამოეხმაურა ულტრამემარჯვენე პოლიტიკური სუბიექტის „ერი, რაობა, იმედის (ერი)“ ლიდერი ლევან ვასაძე. მან, რუსეთის უსაფრთხოების ინტერესებიდან გამომდინარე, საფრთხედ შეაფასა უკრაინის ნატოში გაწევრიანების მცდელობა და საქართველო „დანადმულ ველს“ შეადარა, სადაც რუსეთთან სიფრთხილით მოქმედებაა საჭირო. „ის რეალობა, რომელშიც ბოლო 48 საათის განმავლობაში აღმოვჩნდით, პუტინის ინდიფერენტულს ხდის კრიტიკისადმი. რა განსხვავებაა პუტინისთვის, მარტო უკრაინის გამო გაილანძღება და მიიღებს სანქციებს, თუ ბარემ ამიერკავკასიისთვისაც. ამიტომ ჩვენ შესულები ვართ უაღრესად სენსიტიურ მომენტში ჩვენი ისტორიისა, სადაც პირდაპირ დანადმულ მინდორზე დავდივართ“. - განაცხადა ლევან ვასაძემ 25 თებერვალს სოსო მანჯავიძის საავტორო გადაცემაში.



ანალოგიური რიტორიკა ჰქონდათ ღიად კრემლისტურ ონლაინ მედია გამოცემებსაც „საქართველო და მსოფლიო“, „საქინფორმი“ და „News Front“. მათ პლატფორმებზე ქვეყნდებოდა სტატიები, სადაც ავტორები ღიად ეწეოდნენ ნატოს სამხედრო ალიანსისა და აშშ-ს დისკრედიტაციას, ხოლო უკრაინასთან მიმართებაში იმეორებდნენ კრემლისტურ ნარატივებს, რომ რუსეთი მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად იბრძვის. აღნიშნული მედია პლატფორმები ნატოს დისკრედიტაციის ფონზე, „პატრიოტთა ალიანსისგან“ განსხვავებით, ძირითად აქცენტს არა ნეიტრალიტეტზე, არამედ პირდაპირ რუსეთთან ალიანსზე აკეთებდნენ. მაგალითად, 2022 წლის 27 თებერვალს საქინფორმის მთავარმა რედაქტორმა არნო ხიდირ-ბეგიშვილმა გამოაქვეყნა სტატია „საქართველო-რუსეთი: კავშირი თუ ნეიტრალიტეტი?“, სადაც

ხაზგასმულია, რომ საქართველოს ერთადერთი ხსნა არა ნეიტრალიტეტში, არამედ რუსეთთან ალიანსში მდგომარეობს. „თუ საქართველოს სურს მოიხსნას შიდა საზღვრები, რასაც აზერბაიჯანმა მიაღწია, მაშინ უნდა შევიდეს რუსეთთან ალიანსში, მითუმეტეს, რომ საქართველოს მეზობლები არიან არა მხოლოდ მეგობარი სომხეთი და აზერბაიჯანი, არამედ აგრესიული თურქეთიც უძლიერესი არმიითა და ღია ტერიტორიული პრეტენზიებით.“ - ვკითხულობთ სტატიაში. 19 ივლისს მედია გამოცემა [„საქართველო და მსოფლიოში“](#) გამოქვეყნდა სტატია, სადაც აღნიშნულია, რომ საქართველომ უარი უნდა განაცხადოს ნატოსკენ სწრაფვაზე და ამის მიზეზად მოხსენიებულია 2008 წლის აგვისტოს ომი. სტატიაში აღნიშნულია, რომ თითქოს ნატო და ევროკავშირი აფერხებს საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის აღდგენას და ეკონომიკურ განვითარებას და რომ საქართველოში 2008 წლის ომის პროვოცირება ნატოს მიერ მოხდა.

4. ულტრამემარჯვენე ჯგუფების პრორუსული დისკურსი რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე

რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, ულტრამემარჯვენე ჯგუფები საქართველოში ცდილობდნენ უკრაინის ხელისუფლება წარმოეჩინათ „მარიონეტულ რეჟიმად“, დასავლეთი ომის მაპროვოცირებელ მხარედ, რუსეთი კი უძლეველ ქვეყნად, რომელიც საკუთარი სახელმწიფოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე პოზიციონირებს. მონიტორინგის პერიოდში, ულტრამემარჯვენე პლატფორმებზე რამდენიმე ძირითადი მიმართულება გამოიკვეთა. ერთი მხრივ, ეს იყო რუსეთის მხარდამჭერი მოწოდებები და მისი სამხედრო პოტენციალის გაიდება, ხოლო მეორე მხრივ, უკრაინის დემონიზებისა და რუსეთის მიერ ორგანიზებულ პოლიტიკურ-სამხედრო პლატფორმებში გაწევრიანების გზავნილები. შესაბამისად, უკრაინაში რუსეთის სამხედრო ინტერვენციის ფონზე, თვალშისაცემი იყო ღიად პრორუსული პოლიტიკური ძალების გააქტიურებაც რუსეთთან ურთიერთთანამშრომლობის „გაღრმავების“ მიმართულებით. საქართველოში კრემლისტური ძალების პროპაგანდისტული რიტორიკა ღიად იყო მიმართული დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის შეცვლისა და საზოგადოებაში პრორუსული განწყობების გაღვივებისკენ.

ულტრამემარჯვენე ჯგუფები საქართველოში კრემლის პოლიტიკასთან ღიად აფილირებული მედიისა და სოციალური ქსელების დახმარებით ავრცელებდნენ დეზინფორმაციულ ნარატივებს უკრაინაში მიმდინარე ომის შესახებ. მათი შეუზღუდავი წვდომა ფართო აუდიტორიაზე ხელსაყრელ გარემოს ქმნიდა საზოგადოებრივ აზრზე პრორუსული გავლენების გასაძლიერებლად. საანგარიშო პერიოდში უკრაინის მადისკრედიტებელი მედია კამპანია გააქტიურდა ულტრამემარჯვენე ფეისბუქ გვერდ [„კარდჰუზე.“](#) სადაც უწყვეტად ვრცელდებოდა ფოტო და ვიდეო მასალა რუსეთის მხრიდან უკრაინული ქალაქების დაბომბვისა და საავიაციო იერიშების შესახებ. იდენტური პრორუსული რიტორიკით გამოირჩეოდა ონლაინ მედია [„საქინფორმი“](#) და

„News Front“. მათ პლატფორმებზე ქვეყნდებოდა სტატიები, სადაც ავტორები ღიად ეწეოდნენ დასავლეთის დისკრედიტაციას და უკრაინასთან დაკავშირებით იმეორებდნენ კრემლისტურ ნარატივს, რომ რუსეთი მხოლოდ საკუთარი უსაფრთხოების დასაცავად იბრძვის. საანგარიშო პერიოდში ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების ლიდერები ასევე, ცდილობდნენ საზოგადოების დარწმუნებას დასავლეთის მიერ რუსეთისთვის დაწესებული სანქციების არაეფექტურობაში. აღნიშნული პროპაგანდისტული ნარატივი ასევე ეფუძნებოდა იდეას, რომ სანქციები დამანგრეველ ეფექტს თავად დასავლურ ეკონომიკაზე მოახდენდა. აღნიშნული დეზინფორმაციის ფონზე ულტრამემარჯვენეები მოუწოდებდნენ ხელისუფლებას შეეწყვიტა უკრაინელთა დახმარება, რომლებიც მათი შეფასებით, ქართველებთან შედარებით პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ.

საანგარიშო პერიოდში „კონსერვატიულმა მოძრაობამ“ ნატოს დისკრედიტაცია და ამის ფონზე რუსეთთან მჭიდრო ურთიერთობების აღდგენა საკუთარ ძირითად პოლიტიკურ გზავნილად აქცია. ახალ გეოპოლიტიკურ დღის წესრიგზე აპელირებით, „ალტ-ინფოს“ და „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერმა ზურა მახარაძემ ქვეყანას დასავლური საგარეო პოლიტიკური კურსის ცვლილებისკენ ღიად მოუწოდა. „ჩვენ, თუ 30 წლის წინ გავაკეთეთ მხოლოდ ერთ გეო-პოლიტიკურ მიმართულებაზე გათვლა, ახლა არის დრო, როდესაც ბევრად უფრო რაციონ-ალური ანალიზის გაკეთება გვიწევს. ამ ომში რუსეთის გამარჯვების შემთხვევაში, საქარ-თველოს აპრიორი უწევს მასთან დიალოგი და აუცილებელია, რომ ქვეყანაში არსებობდეს ძალა, რომელსაც ექნება მასთან ნორმალური საუბრის წარმართვის შესაძლებლობა.“ მახარაძემ პირობა მისცა თავისი პარტიის მხარდამჭერებს, რომ რუსეთთან ურთიერთობების აღდგენის მიმართულებით „კონსერვატიული მოძრაობა“ სტრატეგიული მნიშვნელობის ფუნქციას შეასრულებს.

გზავნილი N1 - რუსეთის წინააღმდეგ სანქციები არ მოუშაობს და მას დამლუპველი ეფექტი აქვს დასავლეთისთვის

რუსული პროპაგანდის კვალდაკვალ, საქართველოშიც ულტრამემარჯვენე პლატფორმებზე აქტიურად გავრცელდა დეზინფორმაციული ნარატივი, თითქმის ეკონომიკური სანქციები რუსეთს ზიანს ვერ აყენებს და ამით მხოლოდ დასავლეთი ზარალდება. აღნიშნული გზავნილის მიზანი იყო რუსეთის, როგორც თვითმყოფადი ქვეყნის წარმოჩენა და რუსეთის წინააღმდეგ დაწესებული სანქციებისთვის მიერთების მიზანშეუწონლობის ხაზგასმა.

„კონსერვატიული მოძრაობის“ ერთ-ერთმა ლიდერმა ზურა მახარაძემ „ალტ-ინფოს“ გადაცემა „ალტერნატიულ ხედვაში“ აღნიშნა, რომ ევროპა ვერ გადაიტანს ცივ ზამთარს რუსული ბუნებრივი გაზის გარეშე და სრულ ეკონომიკურ კოლაფსში აღმოჩნდება. გადაცემა „ალტ-ანალიტიკაში“ კი განაცხადა, რომ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ უკიდურესად შეურაცხყოფილი რუსეთის იმპერია სანქციებით ვერ დაშინდება და ბოლომდე იბრძოლებს გამარჯვებისთვის.

„ალტ-ინფოს“ გადაცემა „დღის კომენტარში“ შოთა მარტინენკომ გაიმეორა ულტრამემარჯვენე ჯგუფების კრემლისტური გზავნილი, რომ დასავლური სანქციების ამოქმედებით რუსეთის დამარცხება ომში შეუძლებელია და უკრაინის „მარიონეტული“ რეჟიმი ამ ომს აუცილებლად წააგებს მასშტაბური დანაკარგებით.

რუსეთის ეკონომიკის მომძლავრებაზე გააკეთა აქცენტი ულტრამემარჯვენე პარტიის „პატრიოტთა ალიანსის“ თავმჯდომარემ დავით თარხან-მოურავმა ტვ. „ობიექტივის“ ეთერში 2022 წლის 1 აგვისტოს: „თანამედროვე რუსეთის ეკონომიკამ საბჭოთა კავშირის დამლოს შემდგომ 36-ე ადგილიდან გადმოინაცვლა მე-6 ადგილზე და ასეთი მძლავრი ეკონომიკური სისტემის ჩამოშლა სანქციებით და შესაბამისად მისი შესუსტება, აზრს მოკლებული შეხედულებაა.“

რუსეთისთვის სანქციების არაეფექტურობაზე აკეთებდნენ აქცენტს ულტრამემარჯვენე და კრემლისტური მედია გამოცემები „საქართველო და მსოფლიო“ და „news front-იგ“. მათი არგუმენტი ემყარებოდა რუსეთის პრეზიდენტის ვლადიმერ პუტინის განცხადებას, სადაც მან რუსეთის წინააღმდეგ ამოქმედებული სანქციები ევროპის ეკონომიკურ თვითმკვლელობად შეაფასა. 28 თებერვალს „News Front-მა“ გაავრცელა კრემლის პრესსპიკერის დიმიტრი პესკოვის განცხადება, რომლის თანახმადაც, რუსეთის პრეზიდენტს ვლადიმერ პუტინს მის წინააღმდეგ დაწესებული სანქციების მიმართ გულგრილი დამოკიდებულება აქვს და რუსეთს აქვს სანქციებით გამოწვეული ზარალის კომპენსირებისთვის საჭირო პოტენციალი. ეს ტენდენცია ნათლად აჩვენებს საქართველოში ღიად პრორუსული მედია პლატფორმებისა და ქართველი ულტრამემარჯვენეების დაუფარავ ჩართულობას კრემლის საინფორმაციო და პროპაგანდისტულ ომში.

გზავნილი N2 - რუსეთის სამხედრო უპირატესობა თვალსაჩინოა და ამ ომში უკრაინა დამარცხდება

რუსეთის სამხედრო პოტენციალის გაიდება კრემლის საინფორმაციო კამპანიის მახასიათებელი ელემენტია, რასაც წარმატებით იყენებენ ღიად პრორუსული ულტრამემარჯვენე ძალები საქართველოში. საანგარიშო პერიოდში ისინი, ერთი მხრივ, ამართლებდნენ რუსეთის აგრესიას უკრაინის მიმართ, მეორე მხრივ კი, საკუთარ აუდიტორიას არწმუნებდნენ რუსეთის გამარჯვების გარდაუვალობაში.

ულტრამემარჯვენე პარტიის „პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა დავით თარხან-მოურავმა „ობიექტივის“ ეთერში¹ უკრაინას სახელმწიფოებრიობის დასრულება უწინასწარმეტყველა. მისი განცხადებით, უკრაინა ერთმანეთის მიყოლებით კარგავს ტერიტორიებს, რომლებიც კრემლის კონტროლქვეშ გადადის.

¹ 2022 წლის 1 აგვისტო.

„ალტ-ინფოს“ გადაცემა „დღის კომენტარში“² „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერმა შოთა მარტინენკომ განაცხადა, რომ უკრაინაში ომს რუსეთი მალე დაასრულებს და უკრაინა განწირულია მარცხისთვის. 16 ივნისს, გადაცემა „ალტერნატიულ ხედვაში“, რუსეთ-უკრაინის ომის მიმოხილვისას მან დასძინა, რომ დასავლეთმა დიდი ხანია წააგო ომი რუსეთთან და უკრაინა ვეღარ დაიბრუნებს დაკარგულ ტერიტორიებს: „ყველა ხვდება, რომ უკრაინა დაკარგულ ტერიტორიებს ვეღარ დაიბრუნებს, ბრძოლაში ვეღარ დაამარცხებენ რუსეთს, ამიტომ ეს ტერიტორიები უნდა დაუთმონ რუსეთს“. მან რუსეთი უპირობო გამარჯვებულად გამოაცხადა, რომელსაც კიდევ უფრო მეტი ტერიტორიის დაპყრობა შეუძლია მძლავრი სამხედრო პოტენციალის წყალობით.

უკრაინის ტერიტორიული დანაკარგები შეაფასა „კონსერვატიული მოძრაობის“ კიდევ ერთმა ლიდერმა კონსტანტინე მორგოშიამ და 11 აპრილს გამოქვეყნებულ ფეისბუქ პოსტში აღნიშნა, რომ „სცენარი შეიძლება სხვადასხვანაირად განვითარდეს, მაგრამ 100% მოხდება დე-ენ-ერ-ის და ელ-ენ-ერ-ის ტერიტორიების სრული დაკავება, ანუ მარიუპოლის ჩათვლით. ხარკოვსაც, სავარაუდოდ აიღებენ რუსები. ასევე, არც მელიტოპოლიდან და ხერსონიდან არ გამოვლენ არასდროს. ანუ ეს ნიშნავს იმას, რომ უკრაინა 100%-ით დაკარგავს ყველაზე დიდ სამრეწველო ზონებს და აზოვის ზღვას.“ იგივე მოსაზრება კონსტანტინე მორგოშიამ „დღის კომენტარშიც“ განავრცო 29 მაისს. მან აღნიშნა, რომ რუსეთის წინსვლა და გამარჯვება ომში გარდაუვალია, რომ უკრაინამ უკვე დაკარგა ყველა მნიშვნელოვანი ტერიტორია და მისი სამომავლო პერსპექტივა მხოლოდ რუსეთის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული: „უკრაინა რითიც იყო მდიდარი, მარცვლეულით, ის ტერიტორიები დაკარგეს. ზღვა აღარა აქვთ. პორტი დარჩათ, სადაც მანევრების საშუალებაც არა აქვთ და ისიც რუსეთის კეთილ ნებაზეა დამოკიდებული, დაუტოვებენ თუ არა ნიკოლაევსა და ოდესის პორტს. დარწმუნებული ვარ, როდესაც დონბასის ოპერაციას გადაჭრიან და აღიარებენ უკრაინის ხელისუფლებას, რომ რუსეთი ნელ-ნელა წინ მიიწევს, აღარც ოდესის პორტს დაუტოვებენ.“

ომის დასაწყისში „ალტ-ინფოს“ წამყვანები აცხადებდნენ, რომ რუსეთს რამდენიმე დღე ეყოფოდა სამხედრო ინტერვენციის დასასრულებად, თუმცა დროთა განმავლობაში მათი რიტორიკა შეიცვალა. ივლის-აგვისტოში მათ ძირითადი აქცენტები გადაიტანეს რუსეთის მიერ სამხედრო პოტენციალის მხოლოდ ნაწილობრივ გამოყენებაზე. „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერი ზურა მახარაძე 20 ივლისის გადაცემა „ალტერნატიულ ხედვაში“ აცხადებდა, რომ კრემლი ამ ეტაპზე მხოლოდ საკონტრაქტო არმიის დანაყოფებს იყენებდა და მისი ელიტური დანაყოფები ჯერ კიდევ არ იყვნენ ჩართულები სამხედრო ოპერაციებში.

² 2022 წლის 25 ივლისი.



● ალტერნატიული ხედვა (20.07.22)



კოკა მორგოშია

11 April at 00:19 · 🌐

...

ხშირად შეკითხებიან, როგორ დამთავრდება რუსეთ - უკრაინის ომი ... !
ნუ ცხადია ამაზე, ზუსტი პასუხის გაცემა შეუძლებელია. მაგრამ მე მაინც ჩემს ანალიტიკას დავდებ და ვნახოთ რა მოხდება.

პირველი ისაა, რომ საწყის ეტაპზე ორივე მხარე შეცდა ... ანუ უკრაინას არ ეგონა, რომ რუსეთი ესე მასიურად და ყველა მხრიდან შეუტევდა. უკრაინაში ბევრს ჯეროდა, რომ სანქციები რუსეთის ფედერაციას ჩამოანგრევდა. რაც არ გამართლდა. ანუ ამ შემთხვევაში უკრაინის პრობლემა კიდევ ისაა, რომ 100%-ითაც რომ ცოდნოდათ ყველაფერი მაინც მათ მაგივრად, ომის დაწყება არ დაწყების გადაწყვეტილებას აშშ მიიღებდა ანუ ყველაზე დიდი და ტრაგიკული შეცდომა უკრაინელების ის არის, რომ ზელინსკის და ბაიდენის ბინძურ თამაშებს ვერ აღუდგნენ წინ. !

გზავნილი N3 - საქართველოსთვის საფრთხეს წარმოადგენენ უკრაინელი ლტოლვილები და არა რუსეთის მოქალაქეები

ულტრამემარჯვენეები საქართველოში ომის დაწყების საშიშროებაზე მუდმივად ხაზგასმის პარალელურად მიზანმიმართულად ავრცელებდნენ მოსაზრებას, რომ ქვეყნის უსაფრთხოებისთვის მნიშვნელოვან გამოწვევას წარმოადგენენ უკრაინელი ლტოლვილები. აღნიშნული გზავნილი განსაკუთრებით გააქტიურდა მას შემდეგ, რაც ივლისში საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა თბილისის მერიის განკარგულება, რომლის თანახმადაც, მთავრობა აგვისტოს დასაწყისიდან [უკრაინელი ლტოლვილების](#) სასტუმროებში დაბინავების პროგრამას წყვეტდა.

აღნიშნული გადაწყვეტილების ფონზე, „ალტ-ინფოს“ წამყვანმა [თათია გაბრიჭიძემ](#) განაცხადა, რომ საქართველოსთვის გამოწვევას წარმოადგენს არა რუსი ტურისტები, არამედ უკრაინელი ლტოლვილები, რომლებიც დასახლდნენ საქართველოში და თავიანთი ქვეყნის დაცვის ნაცვლად, საქართველოში გართობითა და დასვენებით არიან დაკავებული. უკრაინელთა დისკრედიტაციის პარალელურად, „ალტ-ინფოს“ წამყვანი გამოეცხადა საქართველოში დიდი რაოდენობით შემოსულ რუსეთის მოქალაქეებს და აღნიშნა, რომ ისინი სტუმრები არიან და მათდამი მტრული დამოკიდებულება რუსოფობიაა.

უკრაინელთა მადისკრედიტებელი კამპანია განავრცო „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერმა ზურა მახარაძემ და [„ალტ-ინფოს“](#) ეთერში საზოგადოებას გაუზიარა შეთქმულების თეორია, თითქოს უკრაინელები დივერსანტები არიან და მათი მისია საქართველოში არეულობის შექმნა და „ლგბტ“ პრაიდების ორგანიზებაა.

უკრაინელი ლტოლვილების დისკრედიტაციის ფონზე, ულტრამემარჯვენეებმა გაიმეორეს „ქართულ ოცნების“ ლიდერების ყველა ძირითადი გზავნილი „რუსოფობიის“ შესახებ მას შემდეგ, რაც საზოგადოებამ გააპროტესტა რუსეთის მოქალაქეების დიდი ნაკადის საქართველოში შემოღება. მოსახლეობის პროტესტი „ქართულმა ოცნებამ“ და ულტრამემარჯვენეებმა „რუსოფობიად“ შეაფასეს და დასავლეთის პროვოცირებით საქართველოში ომის მეორე ფრონტის გახსნის გეგმას დაუკავშირეს.

- პრემიერ-მინისტრმა [ირაკლი ღარიბაშვილმა](#) ოპოზიციის „მავნებლურ ქმედებად“ შეაფასა საზოგადოებრივი პროტესტი და აღნიშნა, რომ „*ვინაიდან მიზანს ვერ მიაღწიეს და მეორე ფრონტი საქართველოში ვერ გადმოიტანეს, უნდათ, ჩვენი მოქალაქეები რამენაირად დააზიანონ და ტურისტების შემოღინება შეაფერხონ.*“
- „ქართული ოცნების“ თავმჯდომარემ [ირაკლი კობახიძემ](#) საზოგადოების ნეგატიური განწყობები და შიშები რუსი მოქალაქეების უკონტროლო შემოღინებაზე „ქსენოფობიად“ და „შოვინიზმად“ შეაფასა.
- „კონსერვატიული მოძრაობის“ ლიდერების [ირაკლი მარტინენკოს](#) და [გიორგი ქარდავას](#) მტკიცებით, ლიბერალური ძალები საქართველოში ცდილობენ მასშტაბური, აგრესიული კამპანიის წარმოებას რუსეთის მოქალაქეების წინააღმდეგ, ვინაიდან მათი მცდელობები მეორე ფრონტის გახსნასთან დაკავშირებით წარუმატებლად დასრულდა.
- ულტრამემარჯვენე მიმართულების ტელეკომპანია „[ობიექტივის](#)“ ეთერში³ პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერმა გიორგი ლომიამ მოსაზრება გამოთქვა, რომ რუსეთის მოქალაქეებისადმი ცუდად მოპყრობას საქართველოს დასავლეთი აიძულებს.

³ 2022 წლის 4 აგვისტო

5. ულტრამემარჯვენე პოლიტიკური სუბიექტების ოფიციალური პიზიტები რუსეთში

რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე, ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების ლიდერთა პროპაგანდისტული და დეზინფორმაციული მედია კამპანიის უმთავრესი მიზანი რუსეთის ლობირება და შესაბამისად კრემლთან დაახლოების პოლიტიკის მხარდაჭერა იყო. რუსეთთან პარტნიორული ურთიერთობების გაღრმავების მიზნით, ომის ფონზე, ულტრამემარჯვენე პოლიტიკური სუბიექტები მოსკოვს ოფიციალური ვიზიტებით ესტუმრნენ.

ომის დაწყებიდან თვენახევარში, 4 აპრილს „საქართველოს პატრიოტთა ალიანსის“ ლიდერებმა ირმა ინაშვილმა და დავით თარხან-მოურავმა ოფიციალური შეხვედრა გამართეს რუსეთში ფედერალური ასამბლეის ფედერაციის საბჭოს წარმომადგენლებთან. მათთან ერთად რუსეთში ვიზიტით იმყოფებოდა ორგანიზაცია „რუსეთის ჯავახური დიასპორის“ პრეზიდენტი [აგასი არაბიანი](#). შეხვედრას რუსეთის მხრიდან ფედერაციის საბჭოს საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ვლადიმირ ჯაბაროვი და ამავე კომიტეტის წარმომადგენელ მიხეილ სინიცინი [ესწრებოდნენ](#). შეხვედრის მიზნად დასახელდა რუსეთთან ორმხრივი ურთიერთთანამშრომლობის შენარჩუნება და გაუმჯობესება.

ომის პარალელურად მოსკოვში ოფიციალურ შეხვედრებს მართავდა ღიად პრორუსული „პრიმაკოვის სახელობის ქართულ-რუსული საზოგადოებრივი ცენტრის“ ხელმძღვანელი დიმიტრი ლორთქიფანიძეც, რომელმაც 24 მარტს [მოსკოვში](#) რუსეთის ხელისუფლების მიერ დაარსებული „გორჩაკოვის სახელობის საჯარო დიპლომატიის მხარდაჭერის ფონდისა“ და მასთან დაკავშირებული „პრიმაკოვის ცენტრის“ ორგანიზებით ჩატარებულ შეხვედრას უხელმძღვანელა. შეხვედრის [ოფიციალურ მიზეზად](#) საქართველო-რუსეთს შორის არსებული ურთიერთობების გაუმჯობესება და რეგიონული უსაფრთხოების საკითხები დასახელდა.

13 ივლისს საზოგადოებისთვის ცნობილი გახდა, რომ მოსკოვში შეხვედრებს მართავდნენ კიდევ ერთ ულტრამემარჯვენე პარტიის „[კონსერვატიული მოძრაობის](#)“ გენერალური მდივანი შოთა მარტინენკო და პარტიის თავმჯდომარე გიორგი ქარდავა. კონსტანტინე მორგოშიას განცხადებით, რომელიც პარტიის დამფუძნებელია, მისი თანაპარტიელები მოსკოვში პოლიტიკოსებს რუსეთ-საქართველოს შორის უვიზო რეჟიმისა და პირდაპირი ფრენების აღდგენის მიზნით შეხვდნენ. მარტინენკომ აღნიშნა, რომ საქართველოს მოქმედი ხელისუფლება მოსკოვში გაცილებით მეტ სიმპათიებს იმსახურებდა, ვიდრე მისი წინამორბედი, თუნდაც იმის გამო, რომ რუსეთის წინააღმდეგ სანქციებს არ შეუერთდა და შეეცადა „*ევროპელებისგან მოხვეული უაზრო რიტორიკა თავზე არ მოეხვია*“. ვიზიტის შედეგები დადებითად შეაფასა [შოთა მარტინენკომ](#) და აღნიშნა, რომ „*რუსეთში, ყოველ ნაბიჯზე შესამჩნევია დიალოგის სურვილი და საშუალება*.“ ხოლო, ეფექტური კომუნიკაციის მნიშვნელოვან გარანტიად ქართული იდენტობისა და მართლმადიდებლობის საკითხები დასახელდა.

ძირითადი მიზნები

- საანგარიშო პერიოდში მნიშვნელოვან ტენდენციად ჩამოყალიბდა ულტრამემარჯვენე ჯგუფების პოლიტიკურ სუბიექტებად ტრანსფორმაციის პროცესი. შესაბამისად, გაიზარდა მათი ხილვადობაც და ლეგიტიმაციაც.
- საქართველოში მოქმედ სხვადასხვა ულტრამემარჯვენე ჯგუფებს შორის არსებობს ქსელური კავშირები; ეს ჯგუფები ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის ჩამოყალიბების პროცესში.
- ულტრამემარჯვენე ჯგუფები მხარდამჭერთა მობილიზაციისა და საპროტესტო აქციების ორგანიზების მიზნით აქტიურად იყენებენ სოციალურ ქსელებს. ამ ეტაპზე სწორედ ონლაინ პლატფორმებია მათი საქმიანობის ძირითადი არეალი საქართველოში.
- ონლაინ მედიაში ულტრამემარჯვენე ჯგუფები ხშირად ავრცელებენ დეზინფორმაციას და საზოგადოებრივ აზრზე ზემოქმედების მიზნით, პროკრემლისტურ მეთოდებზე დაყრდნობით ქმნიან ყალბ მედია კონტენტს.
- სოციალურ და ონლაინ მედიაში მიმდინარე ულტრამემარჯვენე დისკურსი ხასიათდება ეთნონაციონალისტური განწყობებით და მკვეთრად პრორუსული გზავნილებით.
- ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების ლიდერების დეზინფორმაციულ კამპანიაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ნატოს დისკრედიტაციას და ამ ორგანიზაციის მიმართ საზოგადოებრივი განწყობების ნეგატიურად შეცვლას.
- ულტრამემარჯვენე რიტორიკა ხასიათდება დროში ტრანსფორმაციით, ქვეყანაში მიმდინარე ძირითადი პოლიტიკური თუ სოციალური მოვლენების შესაბამისად. მიუხედავად ამისა, უცვლელი რჩება მისი მკვეთრად ანტიდასავლური ხასიათი.
- რუსეთ-უკრაინის ომის ფონზე ანტიდასავლურმა რიტორიკამ ახალი სიცოცხლე შეიძინა და ჩამოყალიბდა, როგორც ძირითადად, ომის საფრთხეებზე აპელირების გზით კოლექტიური დასავლეთის დისკრედიტაციის კამპანია. დეზინფორმაცია დაკავშირებულია ქვეყანაში ომის მეორე ფრონტის გახსნის შესაძლო საფრთხესთან და ამ გზით საზოგადოებაში ირაციონალური შიშების გაღვივებასთან.
- ომის ფონზე, ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ კოლექტიური დასავლეთის ნეგატიურ კონტექსტში წარმოჩენა და მისი ომის საფრთხეებთან დაკავშირება, ხელისუფლების მხრიდან ანტიდასავლური რიტორიკის პარალელურად მიმდინარეობდა.
- ულტრამემარჯვენე დაჯგუფებების ლიდერები ავრცელებდნენ პროპაგანდისტულ გზავნილებს, რუსეთის სამხედრო უძლეელობასა და უკრაინის გარდაუვალი მარცხის შესახებ. ასევე მნიშვნელოვან ნარატივს წარმოადგენდა ეკონომიკურ სანქციებთან დაკავშირებით, დასავლეთისთვის უკუუფექტის წარმოჩინება საზოგადოებისთვის.